ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## „ქართული ქათამი გაძვირდება ან ბაზრიდან საერთოდ გაქრება“



გვ.6

**24 აგვისტოდან**

**100 წიგნი**

ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 52




**ლინკოლნი**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

პარასკევი, 25 აგვისტო, 2017 | №201 (7436) | ფასი: 50 თეთრი

# „შემთხვევითი არ არის, რომ ხანძრები ცხინვალის რეგიონის გარშემო ჩნდება“



გვ.2

ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ ხანძრები შეიძლება შინაურმა მტერმა გააჩინა“



## ელისაშვილი: „ცესკომ უსინდისო გადაწყვეტილება მიიღო“



გვ.3

ცესკო: „ელისაშვილი ცრუობს“

უღუმაშვილმა ელისაშვილს 10.000 ხელმოწერის შეგროვებაში დახმარება შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო



## დავით ქაცარავა: „პოლიციამ ბორჯომიდან გამოგვიშვა, საჭირო არ ხართო“



გვ.3

## სირია აფხაზეთის აღიარებას აპირებს?



გვ.4

## „საქართველოში ეკლესიისა და სახელმწიფოს ზედმეტი დაახლოება ორივე ინსტიტუტს დაასუსტებს“



გვ.5

პოლ ქრეგი: „მრავალფეროვნების მხარდაჭერით ქვეყანა უფრო ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება“

## ყარაჯალაში მამაკაცის გაუპატიურება მოძალადეებმა ვიდეოზე გადაიღეს და სოცქსელში ატვირთეს — „ჩვენც იმავეს გავუკეთებთ“, — იმუქრება მეორე მხარე

გვ.7

## რა ბედი ეწიათ ბორჯომის ტყეში მობინადრე ცხოველებს



გვ.4

ISSN 1987-9385

# „შემთხვევითი არ არის, რომ ხანძრები ცხინვალის რეგიონის გარშემო ჩნდება“

## ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ ხანძრები შეიძლება შინაურმა მტერმა გააჩინა“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ დგას საქართველოში გაჩენილი ხანძრების უკან, რატომ ვერ გაერთიანდნენ პრორუსული პარტიები, რას აცხადებს რუსეთის მოსახლეობა, როგორ უნდა დაისაჯონ მოღალატეები? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში **ზაალ კასრელიშვილი** ესაუბრება.



***– საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოში ბოლო დროს გაჩენილი ხანძრების უკან რუსეთი დგას. თქვენ ხშირად გაგიკეთებიათ განცხადებები მოსალოდნელ რუსულ პროვოკაციებზე, არის თუ არა ეს ხანძრები ამ პროვოკაციის ნაწილი?***

– რუსეთი ყველაფრის მკადრებელია, თუმცა ასე ხელაღებით არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეს ხანძრები რუსებმა გააჩინეს. არ არის გამორიცხული, ამ დივერსიის უკან თავად ქართველები იდგნენ. საქართველოში ბევრია ამ ხელისუფლებაზე განაწყენებული პოლიტიკოსი. არ გამოვრიცხავ, რომ ტყეებს ცეცხლი მათ წაუკიდეს.

იმისათვის, რომ ვერსიების დონეზე არ გავიშვიროთ ვინმესკენ ხელი, აუცილებელია გამოძიების ჩატარება. მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, სასწრაფოდ დაიწყოს ამ საქმეების გამოძიება. ამ საქმეში ევროპელი სპეციალისტების დახმარებაც დაგვჭირდება. აუცილებლად უნდა დავადგინოთ დამნაშავეები და სამაგალითოდ დავსაჯოთ. ამ განცხადების გამო უფლებადამცველები მისაყვედურებენ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის, ვინც ამ ხანძრებს აჩენს, ძელზე გასმით უნდა დაისაჯოს.

***– ეს დასჯის ძალიან მძიმე ფორმაა და მას არც კანონი ითვალისწინებს, ყველა თქვენ წინააღმდეგ წავა.***

– რატომ არის მძიმე სასჯელი? ტყეების გადაწვა არ არის უმძიმესი დანაშაული? ამ ხანძრებით, იცით, რამდენი ადამიანი დაზარალდა? იცით, რამდენი საუკუნე უნდა ველოდოთ ახალი ტყეების ამოყრას. ყაზბეგში, ახალქალაქსა და ახალციხეში საუკუნეების წინ გადაწვა მტერმა ტყის მასივები. ამ ტერიტორიაზე მხოლოდ გასული საუკუნის დასაწყისში გაჩნდა ტყეები. ეს არის ეკოლოგიური კატასტროფა, რომელიც გენოციდის ტოლფასია. ის, ვინც ერს გენოციდისთვის იმეტებს, სამაგალითოდ და მკაცრად უნდა დაისაჯოს.

***– თქვენ გამოკვეთილად ანტირუსული განწყობით გამოირჩევით და მეგონა, რომ ხელს რუსეთის სპეცსამსახურებისკენ გაიშვერდით, მაგრამ, როგორც ვატყობ, უფრო შინაურ მტერზე გაქვთ ეჭვი. რაიმე კონკრეტული ინფორმაცია ხომ არ გაქვთ ამასთან დაკავშირებით?***

– ეჭვი ბევრ ვინმეზე გვაქვს და ბევრი ინფორმაციაც ვიცით. ამის მიუხედავად, გამოძიების ჩატარებამდე რაღაც ვერსიებზე ვერ ვილაპარაკებთ ვერც მე და ვერც ჩემი მეგობრები. რაც შეეხება იმას, რომ გამოკვეთილად ანტირუსული ვარ, ამაში ვერ დაგეთანხმებით. მე ვარ ობიექტური ადამიანი.

რადგანაც ობიექტური ვარ, გულწრფელად მეცოდება რუსეთის მოსახლეობა. მათ გასული საუკუნის 90-იან წლებში, 1917 წლის შემდეგ, პირველად მიეცათ შანსი, დემოკრატიულ ქვეყნად ქცეულიყვნენ, მაგრამ ისევ სხვა გზით წავიდნენ. რუსეთში ბევრი მეგობარი მყავს. ხშირად ვესაუბრები მათ და ვიცი ხალხის განწყობა. ძალიან უჭირთ იქაურებს. ერთ-ერთმა რუსმა მითხრა, ასეთი არჩევანის წინ ვდგავარ, ან ერთი პური უნდა ვიყიდო და მეტროთი ვიმგზავრო, ან ორი პური და ფეხით ვიაროო. მოსკოვისთვის დაწესებული ახალი სანქციები კიდევ უფრო დაამძიმებს ეკონომიკას და კიდევ უფრო ცუდ დღეში იქნება მოსახლეობა. გულწრფელად გეტყვით, მეცოდება რუსი ხალხი.

ზემოთ გამოძიება ვახსენე და ცუდი არ იქნება, თუ რუს ექსპერტებსაც ჩავრთავთ ამ საქმეში, თუ ამის სურვილი გაუჩნდებათ. პირადად მე მოსვენებას არ მაძლევს ის ფაქტი, რომ ხანძრები ძირითადად ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის გარშემო ხდება.

***– ამით იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ ცეცხლს ოსები აჩენენ?***

– არა, მაგის თქმა არ მინდა. უბრალოდ, ხანძრების გეოგრაფიაც ძალიან საინტერესოა. არ არის გამორიცხული, ამას ვიღაც საკუთარი მიზნებისთვის აკეთებდეს, რომ ეჭვები რუსეთზე გაჩნდეს. ვიმეორებ, კრემლი ყველაფრის მკადრებელია, მაგრამ გამოძიების დასრულებამდე ვერსიების გამოთქმისგან თავს შევიკავებ. ისე კი, როგორც უკვე გითხარით, ბევრი რამე ვიცით. ისიც კარგად ვიცით, თუ რატომ ვერ მოახერხეს პრორუსულმა ძალებმა გაერთიანება საქართველოში.

პრორუსულების გარდა, გაერთიანება ვერც პროდასავლურმა ძალებმა მოახერხეს. პრორუსულებმა გაერთიანება იმიტომ ვერ შეძლეს, რომ მოსკოვმა საქართველოსთან მიმართებაში ტაიმაუტი აიღო.

***– ტაიმაუტში რას გულისხმობთ?***

– წაიღო აფხაზეთი და სამაჩაბლო და დანარჩენ საქართველოზე უარი თქვა.

***– ვითომ უარი თქვა, ვითომ ასე იოლად შეელია ასეთ გემრიელ ლუკმას?***

– ამ ეტაპზე ნამდვილად უარი თქვა. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები საჯაროდ ასე ამბობენ, რომ არ აინტერესებთ. კრემლის ტაიმაუტი ორი მიზეზით არის გამოწვეული. ერთია ის, რომ აშშ საქართველოს ღიად დაჰპირდა დახმარებას. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ მსოფლიოში მოვლენები რუსეთისთვის არასახარბიელოდ ვითარდება.

კრემლის დროებითი გაჩერების მიზეზი შეიძლება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიც იყოს, პუტინი უკვე ამ არჩევნებზეა გადართული, რაც, ჩვენი აზრით, სწორი გათვლაა. არჩევნების წინ თუ შიგნით ვითარება აერიათ, კრემლს ყველაფერი ოხრად დარჩება.

რუსეთი უკვე დათმობებზეც მიდის. 22 აგვისტოს პუტინი სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში ძალების დაშორიშორებასა და ცეცხლის შეწყვეტას დათანხმდა.

***– ასეთ რამეს რუსეთი 1993 წლის ივლისშიც დათანხმდა, მაგრამ მაშინ საქართველოს აფხაზეთი დააკარგვინეს. ახლაც იგივე სცენარი ხომ არ თამაშდება?***

– მოსკოვისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ მათთვის მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი კონფლიქტის კერები. კრემლს აღარც პრორუსული ძალების დაფინანსებისთვის სცხელა. მათი დაფინანსება საკუთარ თავზე რუსეთში მცხოვრებმა ეთნიკურად ქართველმა ბიზნესმენებმა აიღეს. ბუნებრივია, ეს ბიზნესმენები მათთვის სასურველ პარტიებს აფინანსებენ და არა ერთიანად პრორუსულ ძალებს. მათი გაერთიანება რომ ვერ შედგა, ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის.

ამავე მიზეზით ვერ შეთანხმდნენ პრორუსულები თბილისის მერობის ერთან კანდიდატურაზე.

პროდასავლურებმა იმიტომ ვერ მოახერხეს გაერთიანება, რომ მათ მეორე ტურის იმედი აქვთ. მათი გაერთიანება, სავარაუდოდ, მეორე ტურში მოხდება. საბოლოო ჯამში, მოგებული „ქართული ოცნება“ დარჩება.

***– საუბარი ხანძრებზე დავიწყეთ და, თქვენი აზრით, ეს ყველაფერი არჩევნებზე არ იქონიებს გავლენას? ხელისუფლების ფაფარაშლილი მომხრეებიც კი აღიარებენ, რომ „ოცნებამ“ ამ მძიმე მომენტში უსუსურობა გამოიჩინა.***

– საქართველოს მოსახლეობას არჩევნების მიმართ განსაკუთრებული მოლოდინები აქვს და ამ პერიოდში მათზე კარგად შეიძლება ზემოქმედების მოხდენა. ჩვენ ისიც კარგად გვახსოვს, რომ თავის დროზე გამსახურდიას 87%-მა მისცა ხმა, მაგრამ ძალიან მალე რადიკალურად განსხვავებულ პიროვნებას 92%-მა დაუჭირა მხარი.



ეს ხანძრები აუცილებლად იქონიებს გავლენას ამომრჩეველზე. ხელისუფლება თუ მოახერხებს და რამდენიმე თანამდებობის პირს დასჯის, ხალხის გულს მოიგებს.

***– ზვარაკის შეწირვა უშველის საქმეს?***

– ეს ზვარაკის შეწირვა არ იქნება. ის ხალხი, წესით, თავად უნდა წავიდეს პოსტებიდან, ვინც ექსტრემალურ სიტუაციაში უსუსურობა და უხერხემლობა გამოამჟღავნა. ვიღაცები ალბათ წავლენ კიდევაც. განსაკუთრებულ ცვლილებებს ჩვენ არ ველოდებით. გადამწყვეტი მაინც სექტემბერი იქნება. – რა მხრივ იქნება გადამწყვეტი, რამეს ელოდებით სექტემბერში?

***– არაფერს არ ველოდები, საარჩევნო კამპანია იქნება გაქანებული და ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინ როგორ საარჩევნო კამპანიას ჩაატარებს. გლობალური პოლიტიკური პროცესები ისე მიდის, რომ დიდი მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონდეს, ვინ თბილისის მერი იქნება და ვინ – ფოთის.***

პროცესები ისე მიდის, რომ მხოლოდ მიმართულებები დარჩება. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში პარტიული კონკურენცია, ჩათვალეთ, რომ დამთავრდა. ამ სივრცეში ორიენტაციებს შორის იქნება მხოლოდ დაპირისპირება. პროდასავლურები პრორუსულების წინააღმდეგ წავლენ.

***– იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოში პროდასავლური ორიენტაცია გაიმარჯვებს.***

– დღევანდელი მონაცემებით, პროდასავლური ორიენტაცია გაიმარჯვებს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პრორუსული ადამიანების რაოდენობა ბევრად ნაკლებია პროდასავლურებზე.

მათ რაოდენობას ეკონომიკურ სიდუხჭირეში ჩავარდნილი რუსეთიც გაზრდის. კრემლს მათი დაფინანსების თავი აღარ ექნება. მთელი ყურადღება საპრეზიდენტო არჩევნებისკენ აქვთ გადატანილი. სხვა არაფერი აღარ აინტერესებთ.

***– მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში ხომ არ ჩაეშლებათ?***

– ყველაფერს გააკეთებენ, რომ ეს არ ჩაეშალოთ. პუტინმა ყველა რესურსი გამოიყენა, რომ ეს ჩემპიონატი ახლა ჩატარებულიყო. მას ფეხბურთი ფეხებზე ჰკიდია, მაგრამ ამას თავის პიარისთვის გამოიყენებს.

***– ალბათ არც დასავლეთი ეტყვის, დათმე ოკუპირებული ტერიტორიები, თორემ ჩემპიონატში მონაწილეობას არ მივიღებთო.***

– ისეთი სანქციები დაადეს, რომ ამის თქმა არ უნდა დასჭირდეთ. რუსეთთან პრეტენზიები მაინც ექნებათ, მაგრამ დასავლეთი ბევრად უფრო ცივილიზებულია რუსეთზე და იტყვიან, პოლიტიკა და სპორტი ერთმანეთთან რა შუაში არიანო.



***– რუსეთი სპორტსაც მშვენივრად იყენებს პოლიტიკისთვის, რელიგიასაც და ხანძარსაც.***

– ეგ რუსეთია, დასავლეთი კი დასავლეთია. რუსეთს ისიც ეყოფა, ჩრდილოეთ კორეის გამო თავის მართლების რეჟიმზე რომ არის გადასული. ასევე თავის მართლება მოუხდა ისრაელთანაც. უკვე დადასტურებულია, რომ მან გაააქტიურა ისრაელში ულტრამემარცხენეები პრემიერისა და მთავრობის წინააღმდეგ.

***– ისრაელში თუ შექმნა პრობლემები, საქართველოში იმავეს ვერ გააკეთებს?***

– აღარ გამოუვა, თორემ სიამოვნებით გააკეთებდა. ეს ქვეყანა დაშლის პირას დგას. ძალიან მალე დაემხობა ჩრდილოეთ კორეის წითელი რეჟიმი და მას სხვა წითელი იმპერიებიც მიჰყვებიან. ჩვენებურ რუსეთუმეებს მოვუწოდებ, ამ ამბავს წინასწარ შეეგუონ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით ქაცარავა: „პოლიციამ ბორჯომიდან გამოგვიშვა, საჭირო არ ხართო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ დამფუძნებელი, მსახიობი, ჯომარდობის ფედერაციის პრეზიდენტი **დავით ქაცარავა** პასუხობს.

***– ბატონო დავით, ბორჯომში რამდენიმე დღე მოხალისედ მუშაობდით. ამბობენ, რომ ხანძრის ახალი კერებია გაჩენილი. ასეა?***

– დიახ, სასაფლაოსთან ახლოს ახალი კერა მართლაც არის გაჩენილი, თუმცა სიტუაცია ამ ეტაპზე გაცილებით უკეთესია, ვიდრე გუშინ იყო. უკვე ვფიქრობთ, რომ გარდატეხა შეტანილია ამ ბრძოლაში და დღეისთვის უკვე ძირითადი კერები იქნება ლოკალიზებული და განეიტრალებული. სამწუხაროდ, ახალი კერებიც ჩნდება მუდმივ რეჟიმში, მაგრამ მათი მასშტაბი გაცილებით მცირეა, ვიდრე ეს იყო თავიდან.

***– უკვე აქტიურად საუბრობენ დივერსიის შესახებ. იკვეთება დივერსიის კვალი?***





– ჩემთვის ეს ერთმნიშვნელოვნად დივერსიაა, იმიტომ, რომ ამდენ მიმართულებაზე ერთდროულად ცეცხლის გაჩენა და ასეთი მასშტაბურის სერიოზულ ეჭვებს ბადებს. ბორჯომის ხეობა, ატენის ხეობა, წეროვანი, სიღნაღი, ლაგოდეხი, თიანეთი, ჟინვალი, ყარაფილა, კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო?! ახლა ნიგოზაში, ორჭოსანის ბაზაზე გადაადგილდება რუსული ტექნიკა.

***– საოკუპაციო ხაზთან გადაადგილდებიან?***

– დიახ, გამოყვანილია ოკუპანტების ტექნიკა. სამი სამხედრო ურალი, ორი ბეტეერი, ერთი სამხედრო მანქანა ვილისი და ორი ნივა, რომლებიც მათი სადაზვერვო სამსახურისაა. ცოცხალი ძალა გამოსულია გარეთ. ტყეში დანთებული აქვთ ცეცხლი და იქ გაჩნდა მასშტაბური ხანძრის საშიშროება. ჩვენც წამოვედით ბორჯომიდან და აქეთკენ მივემართებით.

***– მოხალისეებმა დატოვეთ ბორჯომი?***

– გვითხრეს, რომ ბორჯომში მოხალისეების საჭიროება აღარ არის, შესაბამისად, იმ პრიორიტეტულ მიმართულებაზე გადავერთვებით, რომელიც უკვე ნიგოზაშია, რადგან იქ სიტუაცია შემაშფოთებელია და კითხვებს აჩენს.

***– უკვე აქტიურად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ამ ყველაფერში რუსული კვალი იკვეთება. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– ჩემი პოზიციაც და სუბიექტური აზრიც ასეთია, რომ კი ბატონო, ეს არის რუსული კვალი. სიმბოლურია, რომ პირველი ცეცხლის კერა ბორჯომში ზუსტად იმ ადგილას გაჩნდა, სადაც 2008 წელს რუსმა ოკუპანტებმა გადაწვეს უნიკალური ტყე.

***– რამდენად ჩნდება იმის საფრთხე, რომ სიტუაცია საოკუპაციო ხაზთანაც დაიძაბოს?***

– იმედია, სიტუაცია არ გამწვავდება.

***– ბატონო დავით, თქვენი განცხადებების გამო ბორჯომის პოლიციაშიც იყავით დაბარებული. თქვენ გაავრცელეთ ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ კერასთან გატეხილი ბოთლი იპოვეთ, რომელსაც ბენზინის სუნი ჰქონდა.***

– გიდასტურებთ, მე ვიყავი პოლიციაში და ჩვენება მივეცი ამასთან დაკავშირებით, ასევე მოვიტანე ის ნამსხვრევები, რომლებიც შემთხვევის ადგილზე შევაგროვეთ.

***– თქვენს ინფორმაციას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ითქვა ისიც, რომ ტყეში გატეხილი ბოთლის ნახვა რატომ არის გასაკვირი. თქვენ რამ დაგაეჭვათ?***

– ის ტერიტორია, სადაც ბოთლი ვნახეთ, ძალიან რთულად მისასვლელი ადგილია. ფიზიკურად საკმაოდ კარგად უნდა იყო მომზადებული, რომ ამ ადგილას ახვიდე. ირგვლივ, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის რადიუსში, დავათვალიერე ტერიტორია და არაფერი ამდაგვარი, დამატებითი კვალი ვერ ვიპოვე, რაც იმ ვერსიას გაამაგრებდა, რომ ვიღაცა იქ საქეიფოდ იყო ასული. რომ ჩამოვიტანე, ჩავთვალე, რომ ნაპოვნი ბოთლის შესახებ შემეტყობინებინა პოლიციისთვის, რათა ექსპერტებმა იმუშაონ და დაადგინონ, რა ხდება.

***– თქვენ რა ეჭვები გაქვთ?***

– წინასწარ ვერაფერს გეტყვით. აჯობებს, ამ კითხვებს სამართალდამცავები თუ გასცემენ პასუხს. იმისთვის, რომ დივერსიის კვალი გამოირიცხოს, ექსპერტებმა უნდა იმუშაონ!

***– სიძველის კვალი ხომ არ ეტყობა ბოთლს? ან რამ დაგაეჭვათ ასე?***

– ბოთლზე სიძველისა და სიახლის კვალის დადგენა ცოტა რთულია, იმიტომ, რომ ის იყო მთლიანად ამოსვრილი ნაცარში. მას ჰქონდა სპეციფიკური სუნი და სწორედ ამან დაგვაეჭვა.

***– ბატონო დავით, თქვენ მოხალისეებთან ერთად გამოგიშვეს ბორჯომის ხეობიდან. ამბობენ, რომ მეხანძრე მაშველებს ხელს უშლიდით. კონკრეტულად რა მიზეზით დაგატოვებინეს ტერიტორია?***

– არ ვიცი მიზეზები, ჩვენ ხელს არავის ვუშლიდით, პირიქით, თავი არ დაგვიზოგავს. მოვიდნენ და შეგვატყობინეს გადაწყვეტილება, რომ აღარ ვართ საჭირო და ჩვენც წამოვედით. არ გვინდა, ვინმეს ხელი შევუშალოთ. თუ არ ვართ საჭირო და ვინმეს ხელს ვუშლით, ბუნებრივია, ძალით არსად მივალთ.

***– ვინ შეგატყობინათ ეს გადაწყვეტილება, რომ იქ საჭირო აღარ იყო თქვენი დახმარება?***

– პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებიც მოვიდნენ იმ ფერდობზე, სადაც ჩვენ ვმუშაობდით და გავწმინდეთ საფუძვლიანად. მოვიდნენ და გვითხრეს, უნდა წახვიდეთო. ჩვენც დავემორჩილეთ მოთხოვნას და ყოველგვარი პრობლემის გარეშე დავტოვეთ ტერიტორია.

# ელისაშვილი: „ცესკომ უსინდისო გადაწყვეტილება მიიღო“

## ცესკო: „ელისაშვილი ცრუობს“

თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის ალეკო ელისაშვილის თქმით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მას ერთ კვირაში 10 ათასი ხელმოწერის შეგროვება მოსთხოვა, რაც მას სხვა კანდიდატებთან შედარებით არათანაბარ პირობებში აყენებს:

– გულითადი თხოვნა ყველა ჩემს მხარდამჭერს! გუშინ ცესკომ სრულიად უსინდისო გადაწყვეტილება მიიღო და დამიწესა არაგონივრული ვადა მხარდამჭერების ხელმოწერების შეგროვებისთვის. ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ ვერ შევძლებ 10 ათასი ხელმოწერის შეგროვებას, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

მან და მისმა მხარდამჭერებმა მეტროსადგურებთან „რუსთაველი“, „ახმეტელი“, „დელისი“ და „სადგურის მოედანი“ ხელმოწერების შეგროვება უკვე დაიწყეს.

ცესკო ელისაშვილის განცხადებას თითქმის მაშინვე გამოეხმაურა.

– დღეს თბილისის მერობის ერთ-ერთმა კანდიდატმა სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა მცდარი ინფორმაცია კანდიდატების რეგისტრაციის პროცედურასთან დაკავშირებით. კერძოდ, კანდიდატმა განაცხადა, რომ თითქოს ცესკომ მიიღო „სრულიად უსინდისო გადაწყვეტილება“ და მას დაუწესა არაგონივრული ვადა მხარდამჭერების ხელმოწერების შეგროვებისთვის.



აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ 21 აგვისტოს ცესკომ დადგენილებით მიიღო პროცედურების აღმწერი ინსტრუქცია, რომლის ერთადერთი მიზანია, საარჩევნო სუბიექტებს გაუმარტივოს კანონის შესაბამისად მოქმედება.

რაც შეეხება მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვებისა და საარჩევნო კომისიაში წარდგენის ბოლო ვადას, მას ადგენს არა ცესკო, არამედ უშუალოდ საარჩევნო კოდექსი. კოდექსის თანახმად კი, ხელმოწერების წარდგენის ბოლო ვადაა არჩევნებამდე არაუგვიანეს 50-ე დღე, ანუ 1 სექტემბერი. ცესკომ, ასევე ზუსტად კანონზე დაყრდნობით განსაზღვრა საჭირო ხელმოწერების ოდენობა 1% (თბილისის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაა – 958729, ხოლო მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობა – 9.587).

შესაბამისად, მერობის კანდიდატის განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენ მოვუწოდებთ საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებს, თავი შეიკავონ არასწორი ინფორმაციის გავრცელებით საარჩევნო პროცესის დაზიანებისგან. ამავდროულად, ჩვენი ვალია, არავის მივცეთ მცდარი განცხადებებით ცესკოს დისკრედიტაციის შესაძლებლობა, – ნათქვამია ცესკოს განცხადებაში.

* * *

ცესკოს ამ განცხადების შემდეგ ნაციონალების კანდიდატმა ზაალ უდუმაშვილმა ალეკო ელისაშვილს 10.000 ხელმოწერის შეგროვებაში დახმარება შესთავაზა.

– ხელისუფლება საარჩევნო მანიპულაციებით ცდილობს, ელისაშვილის არჩევნებში მონაწილეობას სერიოზული პრობლემები შეუქმნას. საუბარია კანონში შეტანილ ცვლილებებზე, რომლის მიხედვით, ალეკო ელისაშვილი ვალდებულია, ერთი კვირის განმავლობაში 10.000 ხელმოწერა წარადგინოს.

მე ვაცხადებ, რომ ჩემი და ჩემი გუნდის მთავარი ამოცანაა, ოქტომბერში დავასრულოთ თბილისში „ქართული ოცნება“. ამისთვის კი აუცილებელია, ქვეყანაში ჩავატაროთ სამართლიანი და კონკურენტუნარიანი არჩევნები. შესაბამისად, მე ვთავაზობ ალეკო ელისაშვილს მთელი რესურსით სრულ დახმარებას, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ მზად ვართ, უმოკლეს ვადაში შევაგროვოთ 10.000 ხელმოწერა და მისი თანხმობის შემთხვევაში ჩვენი შტაბი ხვალ დილიდან დაიწყებს მხარდამჭერების მობილიზებას.

**უდუმაშვილმა ელისაშვილს 10.000 ხელმოწერის შეგროვებაში დახმარება შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო**

იმავეს მოვუწოდებ ყველა პროდასავლურ კანდიდატს. შეგახსენებთ, ამ არჩევნებში ჩვენი მთავარი მიზანია, ერთად გავისტუმროთ თბილისიდან „ქართული ოცნება“, – განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

* * *

ელისაშვილმა უდუმაშვილის დახმარება არ მიიღო.

„ინტერპრესნიუსს“ მან უთხრა, რომ ხელისუფლებასა და ცესკოს უნდა დაუმტკიცოს, „რა ძალა აქვს ხალხს“ და როგორ შეუძლია მას „ხალხთან ერთად ნებისმიერი საარჩევნო ხრიკის წყალში ჩაყრა“.

ელისაშვილის თქმით, 1.000 ხელმოწერა უკვე შეგროვდა.

– დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის – ნებისმიერი მხარდაჭერა ამ დროს მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ შემოთავაზებაზე უარს ვიტყვი, იმიტომ, რომ პირველ რიგში ხელისუფლებას და მათ შორის ცესკოს უნდა დავუმტკიცო, რა ძალა აქვს ხალხს და როგორ შემიძლია, ხალხთან ერთად ნებისმიერი მათი საარჩევნო ხრიკი და მავნებლობა ჩავყარო წყალში.

მოვიდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და ნახონ, როგორი აჟიოტაჟია ამ ხელმოწერებთან დაკავშირებით.

მე ვარ ახმეტელის მეტროსთან და 1.000-ზე მეტი ხელმოწერა უკვე შეგროვებულია. ჩემს შტაბში არ წყდება მოხალისეების მისვლა და უნდა ნახოთ, როგორი აჟიოტაჟია – ხალხი მოდის სრულიად შეგნებულად, სხვათა შორის, სხვადასხვა რაიონიდანაც, რომ ხელი მოაწერონ, – განაცხადა ალექსანდრე ელისაშვილმა.

# გასულ კვირას სეს-მა საქმიანობა 15 ბიზნესოპერატორს შეუჩერა

სურსათის ეროვნული სააგენტო გასულ კვირას ჩატარებული შემოწმებების შედეგებზე აცხადებს.

უწყების ცნობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 207 ინსპექტირება, მათ შორის, თბილისში ინსპექტირებულია 58 ბიზნესოპერატორი; სურსათის ლაბორატორიული კვლევისთვის აღებულია 106 ნიმუში; დოკუმენტურად შემოწმდა 160 ობიექტი (24 ბიზნესოპერატორი თბილისში), მათ შორისაა აგრარული ბაზრები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ხორცის, ხორცპროდუქტების, რძის, რძის პროდუქტების, პურფუნთუშეულისა და სხვ. სურსათის მწარმოებლები და სარეალიზაციო ობიექტები, საკონდიტრო.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დააჯარიმა 59 ბიზნესოპერატორი, საწარმოო პროცესი ან საქმიანობა შეუჩერდა 15 ბიზნესოპერატორს, მათ შორის: აგრარულ ბაზარს, საშაურმეს, წისქვილს, პურისა და პურფუნთუშეულის, საკონდიტროს, ხორცისა და ხორცპროდუქტების საწარმოებსა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებს: ი/მ „ლევან კახიძე“; ი/მ „ლევან ქუბრიაშვილი“; შპს „ჰენჯაბ რესტორანი“-(„ტანტუნი ქაბაბი“); შპს „დავითი“-(„დავითი); შპს „ციცი“; შპს „მზე“; შპს“კავკასია“; ი/მ „სოფიკო ჭუმბურიძე“; ი/მ „გამლეტ მანასიანი“ -(„პატარა ჭილიკა“); შპს „ვარკეთილი 95“ („ჩილიკას დუქანი“); შპს „რუსთაველი 2017“ (რესტორანი „რუსთაველი“ აჭარა); შპს „პურის სახლი“ (სამეგრელო); ი.მ. ამირან წიქაძე (იმერეთი); შპს „ლატე“ (შიდა ქართლი); შპს „თელავის აგრარული ბაზარი“ (კახეთი).

აღნიშნული ობიექტებიდან სააგენტოს რეკომენდაციები გაითვალისწინა ბიზნესოპერატორების უმეტესობამ და 10 მათგანს უკვე აღუდგა საწარმოო პროცესი. საქმიანობა კვლავ შეჩერებული აქვს 5 ობიექტს: ი.მ „ლევან კახიძე“, შპს „ჰენჯაბ რესტორანი“ („ტანტუნი ქაბაბი“), ი/მ „სოფიკო ჭუმბურიძე“; შპს „თელავის აგრარული ბაზარი“ (კახეთი), შპს „რუსთაველი 2017“ (რესტორანი „რუსთაველი“).

**კომერსანტი**

# სირია აფხაზეთის აღიარებას აპირებს?



შესაძლებელია თუ არა, რომ სირიამ რუსეთის ზეწოლით ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა ცნოს? – ეს კითხვა ხელახლა გაჩნდა, მას შემდეგ, რაც სირიის არაბული რესპუბლიკის მმართველმა ელიტამ აფხაზ სეპარატისტთა „საგარეო საქმეთა მინისტრ“ დაურ კოვეს დამასკოში მაღალ დონეზე უმასპინძლა.

დამასკოს რიგით 59-ე საერთაშორისო ბაზრობაში ოკუპირებულმა აფხაზეთმა 17-22 აგვისტოს „დამოუკიდებელი ქვეყნის“ სტატუსით მიიღო მონაწილეობა. ეს ბაზრობა არაბულ რესპუბლიკაში 1954 წლიდან ტარდება, თუმცა სამოქალაქო ომის გამო 2011 წლის შემდეგ აღარ გამართულა. სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ ასადი და მისი მთავარი მოკავშირე, რუსეთის პრეზიდენტი პუტინი საერთაშორისო ბაზრობის განახლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მასზე 27 ქვეყანა მიიწვიეს. სეპარატისტების დროშა დამასკოს ცენტრში, გამოფენაში მონაწილე სხვა სახელმწიფოების დროშებთან ერთად ფრიალებდა.

დაურ კოვეს პირადად შეხვდნენ სირიის პრემიერ-მინისტრი იმად ხამისი, რომელსაც ეს პოსტი 2016 წლიდან უჭირავს; მუალედ ალვალიდი – იგი უკვე 11 წელია სირიის საგარეო საქმეთა მინისტრია და სირიის სახალხო კრების (პარლამენტის) თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნაჯად ანზორი.

აფხაზთა „პირველმა დიპლომატმა“ დაურ კოვემ, რომელმაც დამასკოში ჰუმანიტარული მიზნით 16 ტონა მინერალური წყალი „კოდორი“ ჩაიტანა, სირიის სახელმწიფო ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში კერძოდ აღნიშნა:

– ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს სირიის საერთაშორისო თანამეგობრობიდან იზოლირებას, ისევე როგორც ცდილობს აფხაზეთის იზოლაციას. სწორედ ამიტომ, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ, რათა ერთად გავუწიოთ წინააღმდეგობა ყველა მხარეს, ვინც ჩვენი ორი სახელმწიფოს წინააღმდეგ იქნება.

სირიის პარლამენტში შეხვედრისას არაბული რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერის მოვალეობის შემსრულებელი ნაჯად ანზორი აფხაზთა დელეგაციამ სოხუმში მიიწვია. ნაჯად ანზორმა ეს მიწვევა მიიღო. ოკუპირებული აფხაზეთის მონახულების სურვილი ასევე გამოთქვეს სირიის პარლამენტის წევრებმა რამი სალეჰ ბენ მუჰამედმა, სანა აბუზეიდმა და ატფ ზეიბაკმა. ყველა მათგანი არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის სირიის ფრთის (ბაათი) წევრია, რომლის გენერალური მდივანიც 2000 წლიდან არის სირიის პრეზიდენტი და დიქტატორი ბაშარ ალ-ასადი.

ბაშარ ალ-ასადს საქართველოს ხელისუფლებასთან ერთადერთი კონტაქტი 2010 წლის მაისში ჰქონდა, როცა მას დამასკოში, საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ესტუმრა. დახურული შეხვედრის მთავარი თემა მაშინაც რუსეთის მიერ ოკუპირებული ქართული ტერიტორიების არაღიარება იყო. 2010 წლის სექტემბერში გრიგოლ ვაშაძე, უკვე ნიუ იორკში, სირიის საგარეო საქმეთა მინისტრ ვალიდ ალ-მუალემსაც შეხვდა. ამ დონის შეხვედრები მომდევნო წლებში, გასაგები მიზეზების გამო, სირიისა და საქართველოს ხელისუფლებას შორის აღარ ყოფილა.

2016 წლის დეკემბერში, ალეპოს უმძიმესი კრიზისის დროს, საქართველოს მთავრობამ 100.000 აშშ დოლარი გამოყო სირიის დასახმარებლად, 2017 წელს კი გაეროში მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს ძალადობის შეწყვეტისკენ მოუწოდებდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზ სეპარატისტთა ვიზიტს დამასკოში ასეთი განცხადებით გამოეხმაურა: „რუსეთისა და მისი საოკუპაციო რეჟიმების მხრიდან საქართველოს მიმართ პროვოკაციული პოლიტიკის გაგრძელებაა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების ე.წ. ვიზიტი სირიაში, მრავალწლიან ომში გახვეულ ქვეყანაში, სადაც რუსეთი საკუთარი გავლენის განმტკიცებას ყველა საშუალებით ცდილობს“. საგარეო უწყებაში მიაჩნიათ, რომ „მსგავსი ქმედებებით რუსეთი საოკუპაციო რეჟიმების ლეგიტიმაციას და სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ძალადობრივი ცვლილების დაკანონებას უშედეგოდ ცდილობს“.

საქართველომ და სირიამ დიპლომატიური ურთიერთობა 1994 წლის 18 მაისს დაამყარეს, თუმცა არცერთ ქვეყანას ერთმანეთის ტერიტორიაზე საელჩო არ გაუხსნია. სირიას – ეგვიპტეში საქართველოს საელჩო, ხოლო საქართველოს – სომხეთში სირიის საელჩო ფარავს. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, შესაბამისი არხებით უკვე შედგა სირიის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან კომუნიკაცია.

# რა ბედი ეწიათ ბორჯომის ტყეში მობინადრე ცხოველებს

უკვე მეოთხე დღეა, ბორჯომის ხეობის ბიომრავალფეროვნებას ხანძარი ანადგურებს, რომლის ლიკვიდაციასაც მეხანძრე-მაშველები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ. ხანძრის გამო ხეობაში მობინადრე ცხოველებს, ფრინველებს, ამფიბიებსა და მწერებს ბუდეები გაუნადგურდათ, ზოგიერთი მათგანი კი, გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სავარაუდოდ, ხანძარს თავადაც ვერ გადაურჩა.

ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროს კარლო ამირგულაშვილის განმარტებით, ტერიტორია, რომელიც იწვის, ნაკრძალს ემიჯნება, შესაბამისად, ის იშვიათი სახეობის ენდემური, წითელ წიგნში შეტანილი ცხოველების, ფრინველებისა და ქვეწარმავლების საცხოვრებელს წარმოადგენს.

– აქ გავრცელებულია დაახლოებით 60-მდე ძუძუმწოვარი, 300-მდე სახეობის ფრინველი, როგორც გადამფრენი, ისე მობუდარი, რომელთაგან 13 სახეობა წითელ წიგნშია შეტანილი (მაგალითად, კავკასიური როჭო, თეთრკუდა არწივი). ცხადია, ხანძრის შედეგად, მათი ბუდეები აღარ არსებობს, რაც ფრინველისთვის ძალიან სერიოზული დისკომფორტია. სავარაუდოდ, ხანძრის შედეგად, თავის გადარჩენა ფრინველებმა და მსხვილმა ძუძუმწოვრებმა უფრო მოახერხეს, ვიდრე ამფიბიებმა, ღამურებმა და მწერებმა, მათი უმეტესობა ალბათ განადგურდა, – აღნიშნავს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი.





კარლო ამირგულაშვილის თქმით, ბორჯომის ხეობაში გვხვდება მურა დათვი, კავკასიური კეთილშობილი ირემი, რომელიც ბორჯომის ეროვნული პარკის ტერიტორიაზეღაა შემორჩენილი, ფოცხვერი, არჩვი, წავი, შველი, მგელი, ტურა, ტყის კატა, გარეული ღორი.

– ძუძუმწოვრების ნაწილმა, სავარაუდოდ, ტერიტორიის დატოვება მოახერხა.

თუმცა უცნობია, რა ვითარებაში მოხვდნენ, მაგალითად, დათვები, რომელთაც ბელები ჰყავთ და მათთან ერთად უნდა დაეტოვებინათ ტყის ეს ნაწილი, ამ პერიოდში ბელები უკვე წამოზრდილები არიან.

ხანძარს სამი კერა აქვს, ასევე, სამწუხაროდ, აქ საკმაოდ რთული დაქანების ფერდობები გვხვდება და იმედს ვიტოვებთ, რომ ამ კერებს შორის ცხოველებმა იპოვეს დერეფნები, რომელთა მეშვეობითაც ცეცხლს თავი დააღწიეს, თუმცა ეჭვი მაქვს, მაგალითად, ციყვებსა და კურდღლებს ამის დიდი შანსი ჰქონოდათ,“ – დასძინა კარლო ამირგულაშვილმა.

გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ასევე განმარტავს, რომ ტყეში 20-მდე სახეობის ღამურაა გავრცელებული, რომლებიც დღისით აქტიურ მდგომარეობაში არ არიან და უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ტერიტორიის დატოვება ვერ მოასწრეს.

– ალბათ ცეცხლს ვერ გადაურჩნენ კავკასიური გველგესლები, ბაყაყები, რეპტილიები და აქ გავრცელებული სასარგებლო თუ მავნე მწერები, – განმარტავს სპეციალისტი.

კარლო ამირგულაშვილის თქმით, ძნელი სათქმელია, ხანძრის შემდეგ ეს ცხოველები და ფრინველები არსებულ ტერიტორიებს დაუბრუნდებიან თუ არა, მაგრამ მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში ასე ხდება ხოლმე.

– იმედი მაქვს, ისინი ბუდეებს მომიჯნავე ტერიტორიებზე დაიდებენ და შემდეგ უკან დაბრუნდებიან.

ხანძარი ტყის მასივშია გაჩენილი, შესაბამისად, აქ განადგურდა იშვიათი სახეობის ხე-მცენარეები, რომლებიც ბორჯომის ხეობაში მრავლადაა წარმოდგენილი.

– ძირითადი სახეობებია აღმოსავლური ნაძვი, კავკასიური სოჭი, რომლის განადგურებაც ძალიან არასასიამოვნო ფაქტია, რადგან მისი გირჩისა და თესლის ექსპორტი ხდებოდა. ქართული მუხა, რომელიც წითელ წიგნშია შეტანილი, წიფელი, რცხილა, ნეკერჩხალი და წითელი ნუსხის ბუჩქოვანი მცენარეები, მაგალითად, სელი, იელი. მათ აღდგენა, რა თქმა უნდა შესაძლებელია, თუმცა ჯერ უნდა გაირკვეს, ჰუმუსის რა ნაწილია დამწვარი და განადგურებული და სამუშაოები შემდეგ ჩატარდეს, – აღნიშნავს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი.

კარლო ამირგულაშვილს მიაჩნია, რომ ხანძრის შედეგად, სრულად, არცერთი პოპულაცია არ გადაშენებულა და მათმა ნაწილმა თავის გადარჩენა შეძლო, ტყის განადგურებული ბინადრების რაოდენობას კი მხოლოდ ხანძრის ჩაქრობისა და კვლევის ჩატარების შემდეგ გავიგებთ.

allnews.ge

# რაჭაში „ლუხუნი 2“ ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად აუქციონი გამოცხადდება



შპს „რუსთავი ჯგუფი“, რომელიც რაჭაში ჰიდროელექტროსადგურის „ლუხუნი 2“-ის მშენებლობას ახორციელებდა, 53.500 ამერიკული დოლარით დაჯარიმდა. აღნიშნულის შესახებ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის 11 აგვისტოს განკარგულებაშია ნათქვამი.

განკარგულების თანახმად, კომპანიის დაჯარიმების მიზეზი მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის პირობების დარღვევა გახდა. ამასთან, როგორც განკარგულებაში ვკითხულობთ, „ლუხუნი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის,

ფლობისა და ოპერირების შესახებ ღია აუქციონი გამოცხადდება.

„ლუხუნი 2“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელებაში საპარტნიორო ფონდი მონაწილეობს. 2009 წლის 27 ივლისს საქართველოს მთავრობასა და შპს „რუსმეტალს“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე ლუხუნის ხეობაში 3 მცირე მოცულობის ჰესის, მათ შორის „ლუხუნი 2“-ის მშენებლობა დაიგეგმა. თუმცა, მოგვიანებით, ფინანსური სახსრების არარსებობის გამო, შპს „რუსმეტალმა“ „ლუხუნი 1“ და „ლუხუნი 3“ პროექტები სახელმწიფოს საკუთრებაში დააბრუნა.

რაც შეეხება, „ლუხუნი 2“-ის პროექტს, რადგან მისი სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებული იყო, აღნიშნული პროექტი სახელმწიფოს ვერ დაუბრუნდა. თუმცა, 2015 წელს მთავრობას, „რუსმეტალსა“ და „რუსთავი ჯგუფს“ შორის დადებული მემორანდუმის თანახმად, პროექტის განხორციელება შპს „რუსმეტალის“ მიერ დაარსებულ შპს „რუსთავი ჯგუფს“ დაეკისრა.

ჰიდროელექტროსადგურის „ლუხუნი 2“-ის სიმძლავრე 17 მეგავატია, პროექტის საინვესტიციო მოცულობა დაახლოებით 26 მილიონი დოლარია, ხოლო ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღად 2018 წლის სექტემბერი იყო განსაზღვრული.

**ბიპიენი**

# რა რაოდენობის ტყეა დამწვარი ბოლო 10 წელიწადში საქართველოში

ბორჯომის ხეობაში ხანძრის ქრობის სამუშაოები გრძელდება.

სამუშაოებში ქართულ შვეულმფრენებთან ერთად მეზობელი ქვეყნების შვეულმფრენებიც მონაწილეობენ. ჩვენ დავინტერესდით სტატისტიკით, თუ როგორია საქართველოში ბოლო წლებში დამწვარი ტყეების რაოდენობა.

როგორც ეროვნულ სატყეო სააგენტოში აცხადებენ, მათ მმართველობაშია მილიონ რვაასი ათასი ჰექტარია, რომელიც არ მოიცავს დაცულ ტერიტორიებს, აჭარის ტერიტორიაზე არსებულ ტყეებს და ა.შ.

მათივე ცნობით, საზოგადოებაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხანძარი გაჩნდა ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში, თუმცა, სააგენტოს ცნობით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

– ჩვენს მმართველობაში შედის ბორჯომის ხეობა, გარდა ბორჯომ-ხარაგაულის პარკისა. თუმცა წერენ, რომ ხანძარი ეროვნულ პარკშია, მინდა გითხრათ, რომ

2008 წელსაც და ახლაც ხანძარი არის ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე და არა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკში, – გვითხრეს სააგენტოში.

გთავაზობთ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მოწოდებულ ბოლო ათი წლის სტატისტიკას:

2007 წელს დაფიქსირდა ტყისა და ველის ხანძრების 6 შემთხვევა, ხანძრით მოცულმა ფართობმა შეადგინა 3,9 ჰექტარი.

2008 წელს 32 შემთხვევა – დაიწვა 1277,5 ჰა
2009 წელს 7 შემთხვევა – დაიწვა 717,4 ჰა
2010 წელს 21 შემთხვევა – დაიწვა 371,1 ჰა
2011 წელს 4 შემთხვევა – დაიწვა 7 ჰა
2012 წელს 11 შემთხვევა – დაიწვა 198, 95 ჰა
2013 წელს 35 შემთხვევა – დაიწვა 87,62 ჰა
2014 წელს 69 შემთხვევა – დაიწვა 705,14 ჰა
2015 წელს 62 შემთხვევა – დაიწვა 169,4 ჰა
2016 წელს 43 შემთხვევა – დაიწვა 212 ჰა



2017 წლის ივლისის მდგომარეობით, დაფიქსირდა 10 შემთხვევა, ხოლო ხანძრით მოცულმა ფართობმა შეადგინა 19,00 ჰექტარი.

**ბიპიენი**

# „საქართველოში ეკლესიისა და სახელმწიფოს ზედმეტი დაახლოება ორივე ინსტიტუტს დაასუსტებს“

## პოლ ქრეგო: „მრავალფეროვნების მხარდაჭერით ქვეყანა უფრო ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება“

ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის მკვლევარი პოლ ქრეგო ამბობს, რომ საქართველოში სახელმწიფოსა და ეკლესიის გაყოფაზე საუბარი უნდა გაგრძელდეს. ქრეგო ქართულ ენას ფლობს და საეკლესიო ტექსტებს ქართულ ენაზე ეცნობა. მას თეოლოგიაში დოქტორის ხარისხი აქვს და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას 1970-ანი წლებიდან სწავლობს.

**დოქტორ პოლ ქრეგოს** „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი**ია მეურმიშვილი** ესაუბრა.

***– როგორ აფასებთ საქართველოში ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფას?***

– შეიძლება ვილაცამ თქვას, რომ მე დასავლეთიდან ვარ და არ მესმის თუ რა მჭიდროა კავშირი მართლმადიდებლობასა და ქართველობას შორის. ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს ნაკლებად სეკულარულობა, განსაკუთრებით კი განათლების სფეროში, კიდევ უფრო მეტ დისკუსიას და განხილვას მოითხოვს. ქართულ საზოგადოებას, 70 წლის განმავლობაში არ შეეძლო ამ თემაზე თანამედროვე დისკუსიის გამართვა, ანუ იმაზე, თუ რას ნიშნავს სეკულარული დემოკრატია. ამ თემაზე საუბარი არა მხოლოდ ეკლესიაში, არამედ მთელს საზოგადოებაში უნდა შედგეს.

თანამედროვე საქართველო ახალგაზრდა ქვეყანაა და კვლავ სჭირდება დრო ინსტიტუტების განვითარებისთვის.

***– რას ფიქრობთ ეკლესიაში ამჟამად მიმდინარე მოვლენებზე?***

– პატრიარქის გარდაცვალებაზე საუბარი, ალბათ, ბევრს არ სურს. გარდამავალ პერიოდში ის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. შემდგომი პატრიარქი ვალდებული იქნება, საზოგადოებასთან ილია მეორისგან განსხვავებული მეთოდებით იურთიერთოს. მაგალითად, თანამედროვე სამყაროში ქალთა უფლებებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ჩემი ქართველი ქალი მეგობრები ბევრჯერ ყოფილან გულდაწყვეტილნი პატრიარქზე და ეკლესიაზე ქალთა მიმართ ძალადობის საკითხისადმი მათი კონსერვატიული შეხედულებების გამო.

ეკლესია ასევე ვალდებულია, უკეთესი ურთიერთობა ჰქონდეს რელიგიურ უმცირესობებთან. ვფიქრობ, რომ მათ უნდა მიანიშნონ იმაზე, რომ ბევრი მუსლიმია ქართველი. ვიცი, რომ დაძაბული ურთიერთობაა აჭარაში მართლმადიდებლებსა და მუსლიმებს შორის. მე ბაპტისტებთანაც ვმეგობრობ თბილისში. ისინი ღიად აფიქსირებენ თავიანთ მხარდაჭერას ადამიანის უფლებების მიმართ და აცხადებენ, რომ ქრისტიანობა თავისუფლების რელიგიაა. თუ წავიკითხავთ კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ოფიციალურ ეპისტოლეებს, ვფიქრობ, ისინი თავისუფლებასთან დაკავშირებით დისკომფორტს გამოხატავს. ეს არა იმიტომ, რომ ეკლესიას ხალხის შევიწროება სურს, არამედ იმის გამო, რომ ეკლესია შიშობს, რომ დასავლეთიდან შემოსულმა თავისუფლებამ შეიძლება ბევრი პრობლემა გააჩინოს საზოგადოებაში.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს თავისუფლების შიშია და არა მართლმადიდებელი ეკლესიის ნორმები?***

– მე ვფიქრობ, რომ თავისუფლების შიში ნამდვილად იგრძნობა და ეს დასავლური თავისუფლების მიმართ გამოიხატება. კითხვა დიდი ხანია არსებობს – საქართველო დასავლეთია თუ აღმოსავლეთი? ევროპაა თუ აზია? პასუხი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის ესაუბრებით. ეკლესია ცდილობს, ამ საკითხში ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს. მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ თანამედროვეობას, იმას, თუ როგორ საქმიანობს ეკლესია 21-ე საუკუნეში იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო თავს დასავლურ და ევროპულ ქვეყნად მიიჩნევს და იღებს კანონებს, რომლებიც ამის დასტურია.

***– თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია მართლმადიდებელი ეკლესიის ინსტიტუტი საქართველოს სახელმწიფოსთვის?***

– ძალიან მნიშვნელოვანი! მე ვფიქრობ, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ უფრო მეტადაა „დამოკიდებული“ და ამასთან მათ ბევრად უკეთესი ურთიერთობა აქვთ ეკლესიასთან, ვიდრე სააკაშვილს და მის ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა.

***– ეს კარგია თუ ცუდი?***

– ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა შედეგი დადგება საბოლოო ჯამში. ამჟამად ვკითხულობ წიგნს, თუ როგორ ყალიბდებოდა რელიგიური ტოლერანტობა და თავისუფლება საქართველოში. ქვეყანაში გვაქვს ცნობილი კონფლიქტები. სხვადასხვა დროს – სახელმწიფო თუ სხვა ინსტიტუტები – ამ კონფლიქტების საკითხებში ყოველთვის ადეკვატურად ჩართულები არ ყოფილან.

ეკლესია ზოგჯერ აკეთებს ისეთ განცხადებებს, რომლებიც ტოლერანტობას ემსახურება. თუმცა, არ მგონია, ტოლერანტობის აღქმა სიღრმისეულად ხდებოდეს. მახსოვს არაერთი პრობლემა მუსლიმ თემთან, იეღოვას მოწმეებთან. ამ პრობლემების გაღრმავებაში მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები მონაწილეობდნენ.





პოლ ქრეგო

მოგეხსენებათ, ასევე არსებობს 2002 წლის კონკორდატი, რომელიც ამ განსაკუთრებულ სტატუსს კიდევ უფრო ამტკიცებს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კონკორდატმა მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიის დონეზე აიყვანა. ჩემი აზრით, რეალობა მთლად ასე არ არის, თუმცა ეს დასკვნა საკმაოდ ახლოსაა დღეს არსებულ ვითარებასთან. ჯერ ისევ ბევრი საკითხია გასააზრებელი და გადასაწყვეტი, მაგალითად, ეკლესიის საკუთრება, მართლმადიდებლობის როლი საჯარო სკოლებში.

***– თქვენი აზრით, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ წინააღმდეგობრივ იურიდიულ საფუძველს ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფაზე ისეთ თანამედროვე და სეკულარულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა?***

– მე ვფიქრობ, რომ ზოგიერთ საკითხში ეს მიდგომა უნდა გადაიხედოს. მაგალითად, საჯარო განათლების სფეროში. მართლმადიდებელ ეკლესიას ჰყავს საკმარისი პერსონალი იმისთვის, რომ სკოლებში ყველაზე დიდი წარმომადგენლობა ჰქონდეთ. თუ ხარ ბაპტისტი, ებრაელი, მუსლიმი ან სხვა რელიგიის მიმდევარი, თავს ცოტა გარიყულად გრძნობ. თუ სკოლაში რელიგიურ პირს ხედავ, ეს უმეტეს შემთხვევაში მართლმადიდებელი მღვდლები არიან. ასევე მასწავლებლებიც ხშირად იღებენ საკუთარ თავზე სპეციალურ როლს ბავშვების რელიგიურ აღზრდაში.

***– ცოტა ხნის წინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში სახელმწიფოებრიობა და ეკლესია „გადაწნულია ერთმანეთში“ და ამის გამო „საქართველოში სეკულარიზმი თავისი კლასიკური გაგებით უადგილოა.“ მან ასევე დასძინა, რომ საქართველოში „არსებობს მოდელი, რომელიც არის უნიკალური მსოფლიოში“. რას ფიქრობთ ამ განცხადებაზე? თქვენი აზრით, რა იყო მისი მიზანი?***

– ბევრი ქართველის მსგავსად, ეს განცხადება მეც მაშფოთებს. ეს განცხადება, ფაქტობრივად, უკან ატრიალებს მთელი თაობის პოლიტიკურ მიღწევებს სეკულარული მოდელის მქონე ქვეყნის განვითარების მიმართულებით. პრემიერის განცხადება სეკულარიზმისგან განსხვავებულ იდეას წარმოადგენს. ეს ისაა, რასაც ეკლესია სიმფონიის პრინციპებად განიხილავს – საერო და სასულიერო ინსტიტუტების ბიზანტიური მოდელით ურთიერთობა. ისევე, როგორც ბიზანტიის იმპერია უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს, არც ეს პრინციპი უნდა არსებობდეს თანამედროვე საზოგადოებაში.

***– ემუქრება რაიმე საფრთხე საქართველოში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებულ ისედაც დელიკატურ ბალანსს, განსაკუთრებით პრემიერის ამ განცხადების შემდეგ?***

– ბალანსი უკვე გადახრილია მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ. პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის განცხადება ამ დარღვეულ ბალანსს კიდევ უფრო მეტად ხრის დემოკრატიული საზოგადოების იდეის საპირისპირო მხარეს. შეკითხვა, რომელსაც პრემიერ-მინისტრს დავუსვამდი, ის არის, იწყებს თუ არა საქართველოს რესპუბლიკა საკუთარ ევროპულ/დასავლური თვითშემეცნებაზე უარის თქმას? ამას ქართულ საზოგადოებაზე დიდი გავლენა ექნება, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რაშიც ქალების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ლგბტ თემის წარმომადგენლების უფლებების დაცვა შედის.

ცოტა ხნის წინ „ქართველთა მარში“ მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა საზოგადოების კონსერვატიულმა ნაწილმა მიიღოს. ეს ქართული საზოგადოების ის ელემენტია, რომელიც ქართულ საზოგადოებას მხოლოდ ეთნიკური ქართველებითა და მართლმადიდებელი ქრისტიანებით შემოფარგლავს. „ქართველთა მარშის“ შემდეგ კონტრდემონსტრაცია ჩატარდა, რომელიც ქართველმა ქალებმა მოაწყვეს. ამით ის გამოჩნდა, რომ ქართული მარშის მონაწილეები და პრემიერ-მინისტრიც კი არ წარმოადგენენ სრულიად ქართველ საზოგადოებას იმ დონემდე, როგორც ეს მათ ჰგონიათ.

***– როგორი უნდა იყოს საქართველოს საზოგადოების მიდგომა ეკლესიისადმი? როგორც თქვენ აღნიშნეთ, ქვეყანაში სრულიად საწინააღმდეგო შეხედულების მქონე ჯგუფები არსებობს, რომელთა მოსაზრებების შეჯერების საფუძველზეც, საბოლოო ჯამში, უნდა დადგინდეს ეკლესიის უფრო მკაფიოდ განსაზღვრული როლი საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოს განვითარებაში.***

– ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ჩამოყალიბდება ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა. ხედვა და მოთმინების გამოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია. არაერთი ადამიანისგან გამიგია ის, რომ ინსტიტუტები საჭირო ტემპით არ ვითარდება. მოთმინება არა მხოლოდ გარე მოთამაშეებმა უნდა გამოიჩინონ, არამედ საქართველოს საზოგადოების წარმომადგენლებმაც. ამ საქმეს კიდევ ორი თაობა დასჭირდება. ასე რომ, საზოგადოებრივი განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ამაში არა მხოლოდ სკოლები და უნივერსიტეტები უნდა შედიოდეს, არამედ საზოგადოების ზოგადი ცხოვრების წესიც. საქართველომ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა ჩადოს იმის გაცნობიერებაში, რომ მრავალფეროვნების მხარდაჭერით, ქვეყანა უფრო ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება.

***– საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული და ნდობით აღჭურვილი პირია, თუმცა ის საკმაოდ ხანდაზმულია და, ბუნებრივია, არის შეკითხვები იმაზე, თუ ვინ იქნება მისი შემცვლელი. თქვენ რას ელით მომდევნო პატრიარქისგან?***

– საქართველოს ლიბერალური შეხედულებების მქონე პატრიარქი არ ეყოლება. იმედია, ის საკმარისად ზომიერი იქნება იმისთვის, რომ არამართლმადიდებლებთან განსხვავებული მიდგომა ჰქონდეს და თანამედროვე პოლიტიკურ კულტურაზე ისე ისაუბროს, რომ გამოაჩინოს, რომ ეს პრინციპები ესმის. ილია II საოცრად განათლებული ადამიანია. ის საბჭოთა სისტემაში გაიზარდა, სადაც პოლიტიკური განათლება აბსოლუტურად განსხვავდებოდა დღევანდელი პრინციპებისგან. მე მისი დაწერილი თითქმის ყველაფერი მაქვს წაკითხული. ასევე მოსმენილი მაქვს მისი ქადაგებების ძალიან დიდი ნაწილი. ჩემთვის ადვილად შესამჩნევია ის, თუ როგორ ართმევს ის თავს საქართველოს მრავალფეროვნებას. როგორც წესი, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე პოლიტიკურ საკითხებში მას ფართო განათლება აქვს.

მიუხედავად ამისა, ილია II არანაირად არ ითვლება უკიდურესად კონსერვატიულ ლიდერად. ზოგიერთი წყარო ამბობს, რომ პატრიარქის ძმიშვილი ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი, სავარაუდოდ, მომავალი პატრიარქი იქნება. ის ილია II-ზე უფრო კონსერვატიულია. რამდენადაც მე მესმის, დიმიტრი მართლმადიდებელი ეკლესიის ის ლიდერი იქნება, რომელიც ეკლესიას კიდევ უფრო დახურულს გახდის და თანამედროვე სამყაროსთან ჩართულობის ხარისხს კიდევ უფრო შეამცირებს.

***– თუ ასე მოხდა, უფრო კონსერვატიული პატრიარქი რა გავლენას იქონიებს საზოგადოებასა და მის დემოკრატიულ განვითარებაზე?***

– თუ ქართული ეკლესია კიდევ უფრო მეტად დაემსგავსა რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას, ეს დიდი პრობლემა იქნება. ეს გააჩენს სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთზე დამოკიდებულების საფრთხეს. უფრო კონსერვატული ეკლესია, ასევე, უფრო მეტად დახუჭავს თვალს რადიკალ-კონსერვატორებზე, რომლებსაც მმართველობის მოდელად დემოკრატიაზე მეტად თეოკრატია სურთ.

***– რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ „ეკლესია კიდევ უფრო მეტად დაემსგავსა რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას“? ამ მსგავსებას დღეს ხედავთ?***

– რუსეთში მართლმადიდებელი ეკლესია ავტორიტარულ მთავრობას უჭერს მხარს. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაში კი ეკლესია პუტინისა და მისი მთავრობის ხელსაწყოდ იქცა. ამან რუსეთის ეკლესია მნიშვნელოვნად დაასუსტა, რაც არ არის იშვიათი, როცა სახელმწიფო-ეკლესიის სიმფონიის პრინციპები შეგნებულად ტარდება. საქართველოში ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთთან ზედმეტი დაახლოება საზოგადოების თვალში ორივე ინსტიტუტს დაასუსტებს. ისეთი თემები კი, რომლებსაც მეტი ყურადღება სჭირდება, როგორიცაა ქალებისა და უმცირესობების უფლებები, უყურადღებოდ დარჩება.

## პატრიარქმა ბორჯომის ხეობაში გახსნილ საგანგებო შტაბში პარაკლისი გადაიხადა




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბორჯომის ხეობაში გახსნილ საგანგებო შტაბში პარაკლისი გადაიხადა.

პატრიარქმა მეხანძრე-მაშველები დალოცა, მათ გამძლეობა და მხნეობა უსურვა.

პარაკლისს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ასევე მინისტრთა კაბინეტის წევრები, სასულიერო პირები და მრევლი დაესწრნენ.

# „დაბა სიონი ერთ-ერთი პოპულარული საკურორტო ზონა გახდება“



დაბა სიონს, რომელიც სიონის წყალსაცავის ნაპირზე მდებარეობს, ზაფხულში დამსვენებელთა დიდი რაოდენობა სტუმრობს. გამორჩეული კლიმატური პირობებისა და სუფთა წყლის მიღმა, რაც დამსვენებელს იზიდავს, დგას შიდა განვითარების სერიოზული ნაკლებობა.

„კომერსანტი“ დაინტერესდა იმით, არის თუ არა დაგეგმილი სამომავლოდ აღნიშნული საკურორტო ზონის განვითარება და ისე მოწყობა, რომ დამსვენებლისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს.

როგორც კომერსანტთან საუბრისას დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი აღნიშნავს, ხელისუფლება თიანეთის მუნიციპალიტეტის და კონკრეტულად დაბა სიონის დაჩქარებული წესით განვითარებას ცდილობს.

— თიანეთისა და სიონის განვითარებას დაჩქარებული წესით ვცდილობთ. დასახლებულ პუნქტებში ახალი გზები მივიყვანეთ, თუმცა თიანეთში საკანალიზაციო სისტემა არ არსებობს, რაც ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს. სიონის გაზიფიცირება მიმდინარეობს. 30 წელია, სიონს გაზი არ ჰქონია და ამიტომ ახალ ქსელს ვაშენებთ და მაქსიმუმ ნოემბერში დასრულდება. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, სიონამდე მისასვლელი გზა ორივე მიმართულებით, როგორც საგარეჯოდან, ასევე თბილისიდან, გაკეთდა. სიონს უჭირს შიდა ურბანული განვითარება იმიტომ, რომ ადგილობრივი მეწარმეები ვაჭრობასა და მომსახურებას საკმაოდ დაბალგემოვნებიან სავაჭრო ობიექტებში ეწევიან. გზებისა და გაზიფიცირების შემდგომი პროცესი კანალიზაციის სისტემის აშენება იქნება, რაც სიონის განვითარებას სერიოზულ ბიძგს მისცემს, — აღნიშნა ქუცნაშვილმა.

მისი თქმით, მას შემდეგ, რაც სიონში გაზიფიცირება და კანალიზაციის პრობლემა მოგვარდება, დაბა სიონი აღმოსავლეთ საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული კურორტი იქნება.

— გარანტიას გაძლევთ, რომ გაზიფიცირებისა და კანალიზაციის პრობლემის მოგვარების შემდეგ დაბა სიონი აღმოსავლეთ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკურორტო ზონა იქნება. სიონს ორი უპირატესობა აქვს, რომელიც სხვა არცერთ საკურორტო ადგილს არ აქვს. ერთი ის, რომ სიონის ტბის წყალი, სადაც ადამიანები ცურავენ, ძალიან სუფთაა, რადგან სასმელი წყალია. მეორე უპირატესობა არის კლიმატური პირობები, რაც დამსვენებელს საშუალებას აძლევს, რომ დღისით მზეზე გაირუჯოს და საღამოს გრილ ოთახში დაიძინოს, — განაცხადა ქუცნაშვილმა.

ამასთან, ზაქარია ქუცნაშვილმა დუშეთში, ყაზბეგსა და თიანეთში სასტუმრო ბიზნესის განვითარების შესახებაც გვესაუბრა. მისი თქმით, ამ მხრივ სტეფანწმინდასა და ყაზბეგში აქტიურობა შეინიშნება, თუმცა სხვაგან არა, რადგან ინფრასტრუქტურა გაუმართავია.

— ტურისტული თვალსაზრისით პერსპექტიულია ბაზალეთი, დუშეთი, ხევსურეთი, ფშავი და თიანეთის ზონები. ამ მხარეში ათამდე პერსპექტიული ზონა გვაქვს ტურიზმის განსავითარებლად, თუმცა მათგან ბევრ ზონაში ინფრასტრუქტურა გაუმართავია. ბაზალეთში საჯარო სივრცის პრობლემაც დგას. ერთმა ებრაელმა ინვესტორმა ბაზალეთის ტბაზე საცურაო კომპლექსი ააშენა, მაგრამ ამას მოჰყვა გზის და სანაპირო ზოლის გადაკეტვა, რაზეც განსაკუთრებით ნაწყენია ადგილობრივი მოსახლეობა. დუშეთში, ყაზბეგსა და მთიანეთში სასტუმრო ბიზნესი ნაკლებად არის განვითარებული ინფრასტრუქტურული გაუმართაობის გამო, თუმცა გუდაურსა და სტეფანწმინდაში შედარებით კარგი მდგომარეობაა. დუშეთსა და თიანეთს კი ინვესტიციების ნაწილში ძალიან უჭირს, — განაცხადა ქუცნაშვილმა.

როგორც ცნობილია, საქართველოში უცხოური ინვესტიციები შემოდის, მაგრამ ძირითადად დედაქალაქში და დიდ ქალაქებში, რეგიონებში — ნაკლებად. ზაქარია ქუცნაშვილი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, ბაზრის მკაცრი კანონის გამო, რთულია ინვესტიციის იქ მოზიდვა, სადაც მოთხოვნილება არ არსებობს.

— მთის კანონი სწორედ ამიტომ მივიღეთ, რომ საკანონმდებლო სტიმულირების საფუძველი შეგვექმნა და ამით ინვესტიციები მოგვეზიდა. თუმცა არსებობს ბაზრის მკაცრი კანონი, რომელიც მხოლოდ იმაზე აკეთებს აქცენტს, სადაც დიდი მოთხოვნაა, ანუ მეწარმეებს არ უყვართ ახალი მოთხოვნის შექმნა. მათ უყვართ არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. არსებული მოთხოვნები კი ძირითად ურბანულ დასახლებებში გვაქვს, სოფლებში — არა. გუდაურში 17 სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს და კიდევ ათი ითხოვს ამ ეტაპზე ნებართვას. 17 სასტუმროს შორის არის ქართული, უცხოური ინვესტიციებიც და შერეულიც, თუმცა ქართული დომინირებს, — აღნიშნა ქუცნაშვილმა.

**კომერსანტი**

# „ქართული ქათამი გაძვირდება ან ბაზრიდან საერთოდ გაქრება“

ქათმის ხორცის ადგილობრივი მწარმოებლები პროდუქტის გაძვირებასა და წარმოების დახურვას პროგნოზირებენ. ამის მიზეზად ისინი 24 აგვისტოს ამოქმედებულ იმ ნორმატიულ აქტს ასახელებენ, რომლის მიხედვითაც, საქართველოში წარმოებულ ფრინველის ხორცზე მწარმოებელს დამატებითი გადასახადის გადახდა მოუწევს.

კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2017 წლის 24 აგვისტოდან სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ კანონით, განისაზღვრა სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადა და საფასური. მათ შორისაა ფრინველის ხორცის ვეტერინარული შემოწმება, ე.წ. ფორმა №2. შესაბამისი დოკუმენტის გაცემა კი 1 ფრთა ქათამზე 5 თეთრით განისაზღვრა.

„კომერსანტთან“ ადგილობრივი მწარმოებლების ნაწილი აცხადებს, რომ მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ ხდება და ეს შეიძლება შეფასდეს როგორც ქართული წარმოებისთვის ხელის შეშლა. შპს „განთიადის“ (მუხრანის ქათამი) დირექტორი ელგუჯა ნოზაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მწარმოებლები აიძულა, რომ ყოველ დაკლულ ქათამზე აღნიშნული გადასახადი გადაიხადონ. მწარმოებელი აცხადებს, რომ მთავრობამ აღნიშნული გადაწყვეტილება ბიზნესთან შეუთანხმებლად, ერთპიროვნულად მიიღო, რაც ძალიან ცუდია.

— ჩვენ არ ვიყავით გაფრთხილებულები, სურსათის ეროვნული სააგენტოდან დაგვირეკეს და ულტიმატუმის წესით გაგვაფრთხილეს, რომ მათთან უნდა გაგვეფორმებინა ხელშეკრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმებს დაგვარიცხავდნენ. ეს არასწორი ნაბიჯია და ჩვენი მთავრობისგან სირცხვილია, — აცხადებს ნოზაძე.

მისი მტკიცებით, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მეფრინველეობის, როგორც კვერცხის, ისე ხორცის წარმოების ხელშეწყობა ხდება. უფრო მეტიც, ყველა ქვეყანაში ადგილობრივი წარმოება სუბსიდირებულია. „ჩვენ დღგ-ს გადასახადითაც ვიბეგრებით და ახლა თითო ფრთა ქათამზე 5 თეთრიც დაგვიმატეს. ვითომ არაფერია, მაგრამ ეს ჩვენთვის, მწარმოებლებისთვის დიდი ხარჯია, — აცხადებს ნოზაძე.

მისი პროგნოზით, შექმნილი ვითარების გამო ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების ფრინველის ხორცი გაძვირდება, არ არის გამორიცხული წარმოების შეწყვეტაც. „ქართული ქათამი გაძვირდება ან ბაზრიდან საერთოდ გაქრება“, — აცხადებს ნოზაძე.

მისი ინფორმაციით, შპს „განთიადი“ დღეში დაახლოებით 1.000-1.500 ფრთა ქათამს აწარმოებს. შედეგად, კომპანიას დღეში დამატებით მინიმუმ 50 ლარის გადახდა მოუწევს.

ფრინველის ხორცის წარმოების შეწყვეტას არ გამორიცხავს კომპანია „ჩირინას („ბიუბიუ“) დამფუძნებელი რევაზ ვაშაკიძეც. ბიზნესმენისთვის გაურკვეველია, რატომ დასჭირდა მთავრობას აღნიშნული გადასახადის შემოღება მაშინ, როდესაც ქვეყანაში თითქმის ყველა მსხვილ მწარმოებელს დანერგილი აქვს HACCP-ის (Hazard Analysis Critical Control Point) — საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა. მათ შორის, კომპანია „ჩირინასაც“. შესაბამისად, ხარისხიც კონტროლდება. ვაშაკიძე აცხადებს, რომ მიუხედავად ამისა, მწარმოებლებმა სახელმწიფოს ხორცის უვნებლობის დამადასტურებელი მოწმობა, ფორმა №2-ის გაცემაში ფული უნდა უხადონ. მისი თქმით, ეს 5 თეთრი, ჯამში, პატარა თანხა არ გამოვა.



რევაზ ვაშაკიძის განცხადებით, დღეში კომპანია „ჩირინა“ დაახლოებით 30.000 ფრთა ქათამს აწარმოებს. ახალი რეგულაციით კომპანიას დღეში 1.500 ლარის გადახდა მოუწევს, თვეში კი ეს ციფრი 45.000 ლარი იქნება.

ვაშაკიძე აცხადებს, რომ აღნიშნული რეგულაცია აუცილებლად გააძვირებს ბაზარზე ქათმის ხორცს. ბიზნესმენი ქათმის ხორცის წარმოების შეწყვეტასაც არ გამორიცხავს.

— უფრო რენტაბელურია, ქათამი შემოიტანო თურქეთიდან ან სხვა ქვეყნებიდან და აქ გაყიდო. ჩვენ რას ვიზამთ. ეს არის ძირითადად „ჩირინას“ წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, რადგან საქართველოში სასაკლაოები ან ძალიან მცირეა, ან საერთოდ არ არის, — აცხადებს ვაშაკიძე.

როგორც ვაშაკიძე განმარტავს, საქართველოში ფრინველის ხორცის წარმოება არ ღირს.

**კომერსანტი**

## რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორად არჩილ ჯაფარიძე დაინიშნა



რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორად არჩილ ჯაფარიძე დაინიშნა.

ამის შესახებ „კომერსანტს“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს.

ახალი გუბერნატორი სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებს და მუნიციპალიტეტის პირველ პირებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე კახა გულედანმა წარუდგინა. ახალი გუბერნატორი მუშაობას შეუდგა.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, არჩილ ჯაფარიძეს საჯარო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, ბოლო წლებში ის იყო მხარის გუბერნატორის პირველი მოადგილე და კარგად იცნობს რეგიონის საჭიროებებს.

— დარწმუნებული ვარ, რომ ახალი გუბერნატორი თავისი გამოცდილებით, გუნდთან ერთად, წარმატებულ ნაბიჯებს გადადგამს რეგიონის სწრაფი განვითარებისთვის, — განაცხადა კახა გულედანმა.

უწყების ინფორმაციით, არჩილ ჯაფარიძემ 1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 2014-2017 წლებში ეკავა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილის პოსტი, მანამდე იყო ამბროლაურის საკრებულოს წევრი.

**კომერსანტი**

## ლევან დავითაშვილი: „ჩვენი მოლოდინით, 100-ზე მეტმა კომპანიამ 150.000 ტონაზე მეტი ყურძენი უნდა გადაამუშაოს“

ჩვენი მოლოდინით, 100-ზე მეტმა კომპანიამ ინდუსტრიულად 150.000 ტონაზე მეტი ყურძენი უნდა გადაამუშაოს. ამის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა.

ლევან დავითაშვილი დღეს თელავში, სასტუმრო „ალაზნის ველში“, 2017 წლის რთველის საკოორდინაციო შტაბს გახსნის.

როგორც მან განაცხადა, ღვინის კერძო კომპანიების მხრიდან ყურძენზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია.

— წელს ვფიქრობთ, რომ ძალიან წარმატებული, კარგი რთველი უნდა გვქონდეს, რადგან ერთი მხრივ, მართლაც უხვი მოსავალია. ძალიან რთულ კლიმატურ პირობებში, როცა ბევრ სხვა კულტურას პრობლემა შეექმნა, ყურძნის საკმაოდ უხვი მოსავალი გვაქვს. ვფიქრობთ, სარეკორდო მოსავალი უნდა გვქონდეს. ჩვენი მოლოდინით, 100-ზე

მეტმა კომპანიამ ინდუსტრიულად 150.000 ტონაზე მეტი ყურძენი უნდა გადაამუშაოს. მოსავალი უხვია, ღვინის კერძო კომპანიების მხრიდან ყურძენზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. პირველ რიგში, გაზრდილმა ექსპორტმა. ჩვენი მოლოდინით, წელს დამოუკიდებლობის პერიოდში ქართული ღვინის რეკორდული ექსპორტი იქნება, — განაცხადა დავითაშვილმა.

მინისტრის მოლოდინია, რომ 2017 წელს საქართველოდან ექსპორტირებული ღვინო დაახლოებით, 70 მილიონ ბოთლს გადააჭარბებს. მისივე თქმით, ასევე, აღსანიშნავია ის ღონისძიებები, რომელთაც ღვინის ან სპირტის მწარმოებელი კომპანიების დახმარების მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს. აღნიშნულ თემაზე საუბრის კონტექსტში, მინისტრმა შეღავათიანი აგროკრედიტის სპეციალური კომპონენტის საკითხზე გაამახვილა ყურადღება.

— მაქსიმალურად მოტივირებულია კერძო სექტორი, რომ წელს ყურძენი შეიძინოს. მნიშვნელოვანია, რომ წელს ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩეს და არ დარჩება. მნიშვნელოვანია, რომ პროცესი ორგანიზებულად ჩატარდეს. საბრენდე სპირტის მწარმოებელი კომპანიებისთვის 1 კილოგრამ რქაწითელსა და მწვანეზე 35 თეთრის კომპენსაცია გაიცემა, რათა მათაც გაუჩნდეთ ინტერესი, რომ აღნიშნული ყურძნის სახეობები შეიძინონ, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

**ბიპიენი**

# ყარაჯალაში მამაკაცის გაუპატიურება მოძალადეებმა ვიდეოზე გადაიღეს და სოცქსელში ატვირთეს — „ჩვენც იმავეს გავუკეთებთ“, — იმუქრება მეორე მხარე

ქვემო ქართლში 42 წლის მამაკაცი ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა. ამის შესახებ ინფორმაცია 23 აგვისტოს გავრცელდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე 5 პირია დაკავებული, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს, რაც წამებას გულისხმობს.

მომხდართან მიმართებით ირკვევა დეტალები – 42 წლის მამაკაცს 15-მდე ადამიანმა ჯერ სცემა, შემდეგ კი გააუპატიურა. შემთხვევა სოფელ გაჩიანთან მოხდა, მამაკაცი კომატოზურ მდგომარეობაში სამედიცინო დაწესებულებაში რეანიმაციულ განყოფილებაში არის მოთავსებული. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

მოძალადეებმა ფაქტები ტელეფონით გადაიღეს და შემდეგ სოციალურ ქსელში გაავრცელეს. დაზარალებულის ახლობლები მომხდარის მიზეზად ეჭვიანობას ასახელებენ. ვიდეომასალები ინტერნეტიდან შს სამინისტროს შესაბამისმა უწყებებმა ამოიღეს.

დაკავებული პირები და ასევე დაზარალებული სოფელ ყარაჯალის მკვიდრნი არიან. დაზარალებულის მშობლების განცხადებით, მათი შვილი რუსთავში იმყოფებოდა, როდესაც ყარაჯალიდან მასთან 7 ადამიანი ჩავიდა, მამაკაცი ერთ-ერთი ბარიდან ძალით გამოიყვანეს, თავში ჩაარტყეს ბოთლი და სოფელ ყარაჯალასთან გადმოიყვანეს, სადაც ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდნენ, რის შემდეგაც გააუპატიურეს.

ერთ-ერთი ვერსიით, ამ ფაქტს ჰყავს თვითმხილველები ადგილობრივ მაცხოვრებლებში და ისინიც ახდენდნენ ვიდეოგადაღებას. სასტიკი ფაქტი შუადღის საათებში მოხდა.

– ეს გოგო თვითონ ურეკავდა ჩემს შვილს და ეუბნებოდა, რომ უყვარდა და მასთან ყოფნა უნდოდა, ახლა ჩემი შვილი ძალიან ცუდადაა, სახე აღარ უჩანს, ძალიან არის ნაწამები, 20-25 ადამიანი იყო, – აცხადებს დაზარალებულის დედა.

ოჯახის ახლობელი აღნიშნავს, რომ თუ ყველა დამნაშავე არ დაისჯება, ისინიც იმავე მეთოდებს მიმართავენ:

– პატრული ჩვენ არ გამოგვიძახებია, საავადმყოფოდან დაურეკეს, თუ ყველას არ დაიჭერენ, ჩვენც იგივეს გავაკეთებთ, ახლა ოთხი კაცია დაკავებული, ორივე ძმა, ის ვინც იღებდა და ვინც მანქანას მართავდა, არადა, ბევრად მეტი იყვნენ, მათ პასუხი კანონის წინაშე უნდა აგონ. თავის საქმეს რომ მორჩნენ, ჩაიხანაში ჩამოვიდნენ და იქ თქვეს, წადით და თქვენს მკვდარს მიხედეთო, – აღნიშნავს ოჯახის ახლობელი.

❖ ❖ ❖



ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მამაკაცის ძმა დანაშაულის დეტალების შესახებ ყვება.

როგორც მან „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, თვითმხილველებმა უთხრეს, რომ მის ძმას რიგ-რიგობით 15 კაცი სცემდა და აწამებდა, 200-მდე თანასოფლელი კი შორიახლოს იდგა და ამ ყველაფერს თვალყურს ადევნებდა, თან ტელეფონებით ფოტოებსა და ვიდეოს იღებდნენ.

– ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ საშინელება დაგვემართა. მანქანა დავიქირავე და იმ ადგილზე მივედი, სადაც ჩემი ძმა გაიტაცეს და სასტიკად გაუსწორდნენ. როდესაც მივედი, ბალახებში უგონო მდგომარეობაში, სასტიკად ნაწამები ეგდო. სასწრაფოდ საავადმყოფოში წავიყვანე, რომ გადამერჩინა.

დღეს მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. პოლიციამ მხოლოდ იმ ქალის ქმარი, მაზლი და ძმა დააკავა. თვითმხილველებმა კი მითხრეს, რომ რიგ-რიგობით 15 კაცი სცემდა და აწამებდა, 200-მდე შორიახლოს იდგა და თვალყურს ადევნებდა, თან ტელეფონებით ფოტოებსა და ვიდეოს იღებდნენ. უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც ასე გულგრილად იდგა და უყურებდა ამ სისასტიკეს, – განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ძალადობის მსხვერპლი მამაკაცის ძმამ.

ამასთან, მას დედისგან განსხვავებული პოზიცია აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ თუკი დამნაშავეების სათანადოდ დასჯა არ მოხდება, მათ ფიზიკურად ოჯახი გაუსწორდება.

– კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ მოძალადეებსა და მათი ოჯახის წევრებს ისევე გავუსწორდეთ, როგორც ჩემს ძმას. ძალადობით ვერაფერს შევცვლით, ამიტომ თხოვნით მივმართავთ პოლიციას, რომ ჩემი ძმის მიმართ სასტიკი ანგარიშსწორების სხვა დანარჩენი მონაწილეები დროულად დააკავონ და კანონის თანახმად გაასამართლონ, – აღნიშნა მან.

**ნიუპოსტი, ინტერპრესნიუსი**

# მუხთარლის ადვოკატი: „ლეილა მუსტაფაევას საფრთხე ემუქრება“

გუშინ, 24 აგვისტოს, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის მეუღლე, ლეილა მუსტაფაევა, მთავარ პროკურატურაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

საქმე ეხება ლეილა მუსტაფაევას იმ განცხადებას, რომ უთვალთვალებენ. მუსტაფაევამ საგამოძიებო უწყებას ფოტო და ვიდეო მასალა გადასცა, სადაც, მისი თქმით, ის პირები არიან აღბეჭდილნი, ვინც 4 აგვისტოს მასზე თვალთვალს ახორციელებდა.

– არაფერი ახალი არ არის. მათ არანაირი შედეგი არ აქვთ და ვერაფერი გააკეთეს. მათ აქვთ იმ პირების ფოტო და ვიდეო, ვინც აფგანს უთვალთვალებდა. ჩვენ არ გვაქვს დაზარალებულის სტატუსი. პასუხს ვერ სცემენ კითხვას თუ ვინ და როგორ გაიტაცა აფგან მუხთარლი.

მე გადავეცი დღეს ფოტო და ვიდეო მასალა და მითხრეს, რომ გამოიძიებენ. მითხრეს ის, რასაც ყოველთვის მეუბნებიან, თუმცა შედეგი არ არის. სამი თვე გავიდა და დღემდე არაფერი ვიცით. რაც შეეხება აფგან მუხთარლის დაკითხვას საქართველოს





პროკურატურის მხრიდან, განმიცხადეს, რომ ამის მექანიზმები არ აქვთ, – განაცხადა მუსტაფაევამ მთავარ პროკურატურაში შეხვედრის დასრულების შემდეგ.

მედიასთან კომენტარი აფგან მუხთარლისა და ლეილა მუსტაფაევას ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმაც გააკეთა.

არჩილ ჩოფიკაშვილის განცხადებით, პროკურატურა იძლევა დაპირებებს, რომ საქმეს გამოიძიებს, თუმცა საამისოდ საგამოძიებო უწყება არაფერს აკეთებს, ლეილა მუსტაფაევა კი აგრძელებს ჟურნალისტურ გამოძიებას, რის გამოც მას შეიძლება საფრთხე დაემუქროს და ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას დაეკისრება.

– ტრადიციულად, მოვისმინეთ ზოგადი განცხადებები, რომ ყველაფერი კეთდება, თუმცა დღესაც დადასტურდა, რომ კონკრეტული ხელშესახები ან კონკრეტული გარემოება გამოძიების მიერ გამოვლენილი და დადგენილი არ არის.

ჩვენ გვიჩნდება შთაბეჭდილება, რომ საქმე წინასწარ მოქცეულია ჩიხში, კერძოდ, ისევ და ისევ ვისმენთ იმას, რომ აზერბაიჯანიდან ელოდებიან პასუხს ნებართვაზე, რომ დაკითხონ აფგან მუხთარლი, რაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ არის ჯეროვანი პასუხი არსებული გამოწვევებისთვის, – განაცხადა ადვოკატმა.

მისი თქმით, ლეილა მუსტაფაევამ მიუთითა თვალთვალის ფაქტთან დაკავშირებით.

– მოთვალთვალეებს შორის არიან ისინი, ვინც აფგან მუხთარლის გატაცებამდე უთვალთვალებდა. ისინი აგრძელებენ ლეილას და მისი შვილების თვალთვალს. ვფიქრობთ, რომ არაეფექტურად და მდორედ მიმდინარე გამოძიება ნოყიერ ნიადაგს აძლევს დამნაშავეებს, ვინც აფგან მუხთარლის გატაცება განახორციელა, რათა გააგრძელონ ლეილა მუსტაფაევას თვალთვალი, მისი დაშინება.

ლეილა მუსტაფაევა აგრძელებს ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელიც აზერბაიჯანის მთავრობისთვის ხელსაყრელი არ არის. არსებობს რეალური საფრთხე, რომ მუსტაფაევას დაემუქროს რაიმე და ამაზე პასუხს ქართული სახელმწიფო აგებს, – განაცხადა ადვოკატმა.

რაც შეეხება დაცვის ღონისძიებას, არჩილ ჩოფიკაშვილის განცხადებით, ამაზე ლეილა მუსტაფაევამ უარი განაცხადა, რადგან არც მას და არც მუხთარლის არ აქვთ დაზარალებულის სტატუსი მინიჭებული.

– მაშინ, როცა ევროსასამართლომ პრიორიტეტი მიანიჭა მუხთარლის საქმეს, არალოგიკურია საგამოძიებო პროცედურების ასე მდორედ განვითარება. თუ სახელმწიფო არ მიიჩნევს მუსტაფაევასა და მუხთარლის დაზარალებულად, მაშინ არალოგიკურია მათი დაცვა. აუცილებელია, მათ დაზარალებულის სტატუსი მიენიჭოთ, – განაცხადა ჩოფიკაშვილმა.

# საშინელი ავარია ლანჩხუთთან — დაიღუპა ოჯახის 5 წევრი

სოფელ ჩიბათში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 5 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მათ შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვია.

მსუბუქ ავტომობილს, რომელშიც 6 ადამიანი იმყოფებოდა, ტრაილერი შეეჯახა.




როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველებმა აცნობეს, ტრაილერს მისაბმელი მოწყდა, რომელიც მსუბუქ ავტომობილს დაეცა.

მსუბუქ ავტომობილში მყოფი 6 მგზავრიდან 5 დაიღუპა, 1 კი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილები ერთი ოჯახის წევრები არიან.

ტრაილერის მძღოლი ყაზახეთის მოქალაქეა. შემთხვევა გამთენიისას, 05:00 საათზე მოხდა.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

# განზრახ მკვლელობასა და ყაჩაღობაში ბრალდებულებს 18 და 20 წლით ციხე მიუსაჯეს

სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობასა და ყაჩაღობაში ბრალდებულებს 18 და 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობასა და ყაჩაღობაში ბრალდებულები ჯ. ბ. და გ.ნ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ,“ მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

ამავე განაჩენით გ. ნ. ასევე დამნაშავედ ცნეს თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივ კავშირში სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 27 ნოემბერს, წარსულში განზრახ დანაშაულისთვის ნასამართლევმა ჯ.ბ.-მ და გ.ნ.-მ დაახლოებით 21 საათზე, ძალის გამოყენებით გააღეს 81 წლის ჟ.ა.-ს საცხოვრებელი ბინის კარი, სიცოცხლისა და



ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით და ძალადობის მუქარით თავს დაესხნენ მას და თანხა მოსთხოვეს.

თავდამსხმელებს ჟ.ა.-მ წინააღმდეგობა გაუწია, ჯ.ბ.-მ და გ.ნ.-მ მას თავისა და სხეულის არეში მრავლობითი, სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიაყენეს, რის შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

ჯ.ბ. და გ.ნ. დაეუფლნენ ჟ.ა.-ს კუთვნილ 600 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ასევე სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სრულწლოვანმა გ.ნ.-მ ცოლად შეირთო წინასწარი შეცნობით 16 წელს მიუღწეველი გოგონა, რომელთანაც ნებაყოფლობით დაამყარა სქესობრივი კავშირი.

სამართალდამცველებმა ჯ.ბ. და გ.ნ. 29 ნოემბერს დააკავეს. მათ ბრალდება 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში: ჯგუფურად, ანგარებით) და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ,“ მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით იმის მიერ ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის) წარედგინათ, ხოლო გ.ნ.-ს დამატებით 140-ე მუხლით (თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივ კავშირი) წარედგინა ბრალდება. ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ჯ.ბ. და გ.ნ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად ჯ.ბ.-ს 20 წლით ხოლო გ.ნ.-ს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ტრაგედია გურიაში — გუბაზოულში თევზაობას 2 კაცი შეეწირა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად 24 წლის ბიჭი დაიღუპა, რომელიც მდინარე გუბაზოულზე სათევზაოდ იყო წასული. არსებული ინფორმაციით, დაღუპულ ახალგაზრდას თევზაობის დროს დენმა დაარტყა და ის შემთხვევის ადგილზე დაიღუპა.

როგორც „ნიუპოსტს“ ადგილობრივებმა განუცხადეს, დაფიქსირდა გარდაცვალების მეორე ფაქტიც – თავი ჩამოიხრჩო 52 წლის მამაკაცმა, რომელიც სათევზაოდ წასულ ახალგაზრდა ბიჭს ახლდა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 115 მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



# რუსეთი უანგაროდ თავის მოკავშირეებსაც აღარ დაეხმარება

## უკრაინის პირველი პრეზიდენტი: „დასავლეთი ამაოდ ფიქრობს, რომ რუსეთს შეცვლის“

მარიამ მჭედლიშვილი

ამ დღეებში ისევ აქტუალური გახდა რუსეთის მიერ გაჩაღებული ჰიბრიდული ომი და შესაძლო ეკოლოგიური დივერსიები საქართველოში.

საქართველო და უკრაინა რუსეთის აგრესიის ობიექტები არიან და მათ ერთნაირი მიზნები აქვთ.

რუსეთის აგრესიულ მოქმედებებსა და მის იმპერიულ პოლიტიკას განმარტავს უკრაინის პირველი პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი.

მისი თქმით, დასავლეთს დღემდე არ ესმის რუსეთის პოლიტიკის არსი. დასავლეთი ფიქრობს, რომ რუსეთის დაჯერება ან შეცვლა შესაძლებელია. რეალურად, რუსეთის გადაკეთება შეუძლებელია. შესაძლებელია ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც მოსკოვს აიძულებს, იმოქმედოს სხვაგვარად და არა ისე, როგორც მას უნდა.

უკრაინის პრეზიდენტი არასწორად მიიჩნევს ღია ომის დაწყებას რუსეთთან, რაც მსოფლიოსთვის ბირთვული კატასტროფით დასრულდება. მისი აზრით, რუსეთის მიმართ უნდა გაძლიერდეს ეკონომიკური, ფინანსური სანქციები და მოხდეს მისი პოლიტიკური იზოლაცია.

იგი შეცდომად მიიჩნევს იმას, რომ რუსეთს დღესაც იწვევენ დიდი ოცეულის სამიტებზე და ხანდახან დიდი შვიდეულის შეხვედრებზეც კი.

– რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ ჯარსაც იყენებს, დივერსანტებსაც გვიგზავნის. რუსებს უნდა გავექცეთ, – აღნიშნავს კრავჩუკი.

მისი თქმით, გამოსავალი ევროკავშირსა და ნატოში შესვლაა. ამ ქოლგის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს რუსეთი სხვანაირად მოექცევა.



უკრაინის ექსპრეზიდენტის სიტყვებით, ყირიმის ანექსია და ომი დონბასში მოსკოვმა იმის გამო მოახდინა, რომ უკრაინის მისწრაფება დაინახა. კრემლი მიხვდა, რომ უკრაინა მისგან გარბის. რუსეთს უკრაინის ხელიდან გაშვება არ სურს.

მისი თქმით, ბრძოლა, დაპყრობა და აგრესია რუსეთის ტრადიციული პოლიტიკაა. 150 წლის განმავლობაში რუსეთში ჩამოყალიბდა თავდასხმების აგრესიული სამხედრო ელიტა.

რუსი მიმომხილველების თქმით, მოსკოვი თავისი მოკავშირეებისა თუ სატელიტების მიმართაც ცვლის პოლიტიკას.

საუბარია იმაზე, რომ კრემლი „ძმურ ურთიერთობებს“ ურთიერთსარგებლიანი კონტაქტებით ანაცვლებს.

რუსეთის ექსპერტების თქმით, ასეთი პრაგმატული ურთიერთობა მოსკოვს რუსოფობიით შეპყრობილ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან დიდი ხანია, აქვს. ამიტომ, ლატვიის ტრანსპორტის მინისტრი მოუწოდებს რუსეთს, აქტიურად გამოიყენოს ქვეყნის საზღვაო პორტები.

ამიერიდან რუსეთს ყველასთან ურთიერთსარგებელზე დამყარებული ურთიერთობები ექნება. მსოფლიოში დგება ხანა, როცა სულ უფრო ჭირს სოციალური პროგრამების დაფინანსება, მოსახლეობის კლასობრივი სოციალური დაყოფა ძლიერდება. „ქვედა ფენებში“ აღმოჩნდებიან არა მარტო ცალკეული ადამიანები და ჯგუფები, არამედ, რეგიონები და სახელმწიფოები. ამ სიტუაციაში რუსეთი სხვებს „ძმურ“ დახმარებას ვერ გაუწევს.

როგორც ცნობილია, ვაშინგტონმა მოსკოვს ახალი სანქციები დაუწესა. ამ სანქციებში მოექცა გაზსადენი „ჩრდილოეთი ნაკადი 2“. ამ მილსადენით რუსული გაზი ევროპაში უკრაინის გვერდის ავლით, ბალტიის ზღვის საშუალებით გავა.

იტალიური მედიის ცნობით, რუსეთი ამ გაზსადენსა და გაზზე ფასის დაწევას გამოიყენებს ენერგეტიკულ ომში, რომელიც მას ბოლო დროს აშშ-სთან აქვს.

რუსეთისთვის დამაბრკოლებელია აშშ-ის ენერგეტიკული წარმატებები, ახალი ტექნოლოგიებით თხევადი გაზის წარმოება და ექსპორტი. რუსეთის გაღიზიანებისა და ამერიკასთან ახალი დაპირისპირების მიზეზი გახდა ტანკერი, რომელმაც ამერიკული გაზი წინა თვეში ჩრდილოეთის ზღვებთან და პოლონეთთან მიიტანა.

შექმნილი ვითარების ფონზე, რუსეთი არ შეწყვეტს შეტევებს საქართველოზე.


## განცხადებები

● საწყობში გვჭირდება ორი თანამშრომელი, მეწარმის გამოცდილებით. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 599-61-75-82.

● განყოფილების ხელმძღვანელს ესაჭიროება თანაშემწე პერსონალის შესარჩევად. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-57-83-54.

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

●სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათა-[illegible] წესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობამამაკაცებისათვისგარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.


# პოროშენკო: „ჩვენი არმია მზადაა, რუსეთის ნებისმიერ შემოტევას საკადრისი პასუხი გასცეს“

## უკრაინამ დამოუკიდებლობის 26-ე წლისთავი აღნიშნა



24 აგვისტოს უკრაინამ დამოუკიდებლობის 26-ე წლისთავი იდღესასწაულა. კიევის ცენტრში, ხრეშჩატიკზე გამართულ სამხედრო აღლუმს აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ჯეიმს მატისიც დაესწრო. ის კიევში გადაფრინდა ანკარიდან, სადაც თურქეთის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

– მატისის კიევში ჩასვლა ისტორიული მოვლენაა. ეს კარგ პირობებს ქმნის უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მისაწოდებლად! – განაცხადა სენატორმა მაკეინმა.

24 აგვისტო კიევში, სოფიის ტაძარში, საზეიმო წირვით დაიწყო. ის უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ფილარეტმა აღავლინა. წირვას პრეზიდენტი პეტრო პოროშენკოც დაესწრო. შემდეგ კიევის ცენტრში საზეიმო ღონისძიება დაიწყო. შეკრებილთ სიტყვით მიმართა პეტრო პოროშენკომ.

პრეზიდენტმა თქვა, რომ რუსეთი უკრაინის დამოუკიდებლობას არ შეეგუება. უკრაინას ჰყავს პატრიოტული სულით დამუხტული, ბრძოლისუნარიანი არმია, რომელმაც შეუძლებელი შეძლო.



– მან დონბასში რუსული ჯარი შეაჩერა, კონტრშეტევებიც განახორციელა და რიგი ტერიტორიები უკვე გაათავისუფლა, – თქვა პრეზიდენტმა.

პოროშენკომ აღნიშნა, რომ დღეს უკრაინელებს არა მხოლოდ მტრის მოგერიება, არამედ შეტევაზე გადასვლის ძალაც შესწევთ.

– ჩვენი არმია მზადაა, რუსეთის ნებისმიერ შემოტევას საკადრისი პასუხი გასცეს. თუმცა უპირატესობას არა სამხედრო ძალას, არამედ დიპლომატიას ვანიჭებთ, – განაცხადა პრეზიდენტმა.

შემდეგ სამხედრო აღლუმი დაიწყო. მასში ქართველებიც მონაწილეობდნენ.

სამხედრო აღლუმში უკრაინელ ჯარისკაცებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ნატოელმა სამხედროებმაც. ეს უკრაინის ისტორიაში პირველი შემთხვევაა.

აღლუმში მონაწილეობდნენ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ლატვიის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩერნოგორიისა და ა.შ. წარმომადგენლები.

უკრაინელებთან ერთად აღლუმში მოლდოვის ჯარისკაცებმაც მიიღეს მონაწილეობა. ამით ხაზი გაესვა იმას, რომ დღეს მოლდოვა და უკრაინა მოკავშირეები არიან.

# სერგეი ალექსაშენკო: „მე არავის დავუპატიმრებივარ“



რუსეთის ფინანსთა მინისტრის ყოფილმა მოადგილე სერგეი ალექსაშენკომ უარყო ინფორმაცია მისი დაპატიმრების შესახებ – გაზეთმა „მოსკოვსკი კომსომოლეც-მა“ გაავრცელა ცნობა დომოდედოვოს აეროპორტში მისი დაკავების თაობაზე.

– მე საზღვარგარეთ ვცხოვრობ. ჩემი დაპატიმრების თაობაზე პირველად გაზეთიდან შევიტყვე, – თქვა ალექსაშენკომ.

რუსეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილის პოსტი ალექსაშენკოს 1993-99 წლებში ეკავა. 2013 წლიდან ის აშშ-ში ცხოვრობს.

ალექსაშენკო არაერთგზის გამოდიოდა რადიო „თავისუფლებაზე“, აგრეთვე სხვა რადიოსადგურებზე და პუტინის რეჟიმს მკაცრად აკრიტიკებდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# სუდანი: რუსეთის ელჩი თავის რეზიდენციაში მკვდარი იპოვეს

რუსეთის ელჩი სუდანში მირგაიას შირინსკი თავის რეზიდენციაში მკვდარი იპოვეს. ცხედარი აუზში აღმოაჩინეს.



თანახმად სუდანის ხელისუფლების ცნობისა, სიკვდილი ბუნებრივმა მიზეზებმა გამოიწვია – შირინსკის ჰიპერტონია აწუხებდა.

სუდანის ხელისუფლებამ მომხდარის გამო ღრმა მწუხარება გამოთქვა. სპეციალურ ნოტაში ნათქვამია, რომ შირინსკის წვლილი რუსეთ-სუდანის ურთიერთობების გაუმჯობესებაში უდიდესია.


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# რა ხდება მესის ირგვლივ



ბოლო დროს ბევრი მითქმა-მოთქმაა ატეხილი ბარსელონის არგენტინელი შემტევის ლეო მესის ირგვლივ. მაგალითად, ინგლისელი ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მესის მამა თავისი შვილის მანჩესტერ სიტიში უფასოდ გადასვლის ვარიანტს განიხილავს.

ცნობილია, რომ ლეოს ბარსელონასთან ახალი ხელშეკრულება ჯერ არ გაუფორმებია. ის კონკურენტუნარიანი გუნდის შექმნას ელოდება და კონტრაქტიც ამის შემდეგ გაფორმდება. ხოლო თუ ეს არ მოხდა, ფეხბურთელის მამა მანჩესტერ სიტის სპორტულ დირექტორთან, ჩიკი ბეგირისტაინთან მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს.

თუ მესიმ „ბარსელონასთან“ კონტრაქტი არ გაახანგრძლივა, ის 2018 წლის ზაფხულში სიტიში უფასოდ გადავა. თუმცა, 30 წლის ფეხბურთელისთვის პრიორიტეტულ ვარიანტად კვლავ კატალონიურ კლუბში დარჩენა რჩება.

კატალონიური კლუბის ვიცე პრეზიდენტმა ჟორდი მესტრემ დაადასტურა, რომ მესის ჯერ კიდევ არ მოუწერია ხელი ახალ კონტრაქტზე. ბართომეუმ კი ადრე განაცხადა, რომ ხელშეკრულება გაფორმებულია. ვინ იყო მართალი და რატომ არის აზრთა სხვადასხვაობა კლუბის პრეზიდენტსა და ვიცე პრეზიდენტს შორის?

საქმე ისაა, რომ სინამდვილეში ორივე მათგანი მართალია. ბართომეუმ იგულისხმა, რომ ლეოს ახალ კონტრაქტზე ივნისის ბოლოს ხელი ფეხბურთელის ადვოკატებმა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისმა მამამ მოაწერეს.

მიუხედავად ამისა, მესის პრესის მიხედვით ჯერ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია, მაგრამ ამაზე კლუბში არ ღელავენ. „კამპ ნოუზე“ ირწმუნებიან, რომ მესი უბრალოდ შესაფერის მომენტს ელოდება, რათა კიდევ ერთხელ აღიბეჭდოს ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კადრი, თუ როგორ უკავშირებს ის ბარსელონას თავისი კარიერის კიდევ 4 წელიწადს.

ბარსელონის სატრანსფერო პოლიტიკა კი ბოლო დროს ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ხელმძღვანელობის მუშაობით უამრავი ადამიანია უკმაყოფილო. პარალელურად, კლუბის ყოფილი პრეზიდენტი, ჟოან ლაპორტა გულშემატკივრებისა და ფეხბურთელების გულის მოგებას ცდილობს და პრეზიდენტობისთვის ხელახლა ბრძოლას აპირებს.

ლაპორტა მესის პაულო დიბალას შეძენას დაჰპირდა, თუ ის კვლავ გახდება ბარსელონის პრეზიდენტი. ცხადია, მესი დიდი ავტორიტეტია და მისი მხარდაჭერა ლაპორტასთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ამ ზაფხულში დიბალას ბარსაში გადმოსვლის საკითხი სერიოზულად იდგა და მისი გადმობირება ყველაზე მეტად სწორედ მესის სურდა, მაგრამ ტურინის იუვენტუსისთვის არგენტინელი შეუფასებელია, შესაბამისად, უახლოეს მომავალში და მით უმეტეს ბართომეუს პრეზიდენტობის პერიოდში ეს ტრანსფერი ვერ შედგება.

# ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივა — ერთად დავეხმაროთ ბორჯომის ხეობას




საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 2 სექტემბერს საქართველო-ირლანდიის მატჩიდან გაყიდული ბილეთებიდან შესული სრული თანხა გადამწვარ ბორჯომის ტყე-პარკს მოხმარდება.

– საქართველოსა და ირლანდიის ეროვნული ნაკრებების მატჩზე გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება ბორჯომის ტყის აღდგენით სამუშაოებს, – ავრცელებს განცხადებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

2 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მორიგ შეხვედრას ირლანდიის წინააღმდეგ გამართავს. მატჩი დინამო არენაზე 20:00 საათზე დაიწყება.

ბილეთების შეძენა უკვე შეგიძლიათ ინტერნეტის საშუალებით, ხოლო დინამო არენას სალაროებში ბილეთების გაყიდვა 26 აგვისტოდან დაიწყება.

# დრაქსლერი ბაიერნს სურს, ვიდალი — ინტერს

2017 წლის ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა დასასრულს უახლოვდება და სულ უფრო და უფრო მეტი ჭორი იწერება ტრანსფერებთან დაკავშირებით.

გერმანული მედიის ცნობით, ბაიერნის ხელმძღვანელობა პსჟ-ს გერმანელი ნახევარმცველის იულიან დრაქსლერის შეძენას ფიქრობს. ასევე აღნიშნულია, რომ დრაქსლერს 3 წინადადება აქვს ინგლისიდან. მისით დაინტერესებულნი არიან მანჩესტერ იუნაიტედი, ლივერპული და არსენალი.



მიუნხენელებს ჯერ არ გაუკეთებიათ ოფიციალური მიმართვა პარიზელებისთვის დრაქსლერის შეძენის თაობაზე.

ტელეგრაფის ვერსიით, ჰოლანდიური აიაქსი, დორტმუნდის ბორუსია და ლივერპული გერმანიის მეორე ბუნდესლიგის კლუბ ფორტუნას 17 წლის მცველის პერ შუურსის გაფორმებისთვის იბრძვიან.

იტალიური მედია კი საკმაოდ საინტერესო სიახლეს აქვეყნებს და ამტკიცებს, რომ ინტერი ბაიერნის ნახევარმცველს არტურო ვიდალის გაფორმების მცდელობას არ ეშვება.

თუმცა, როგორც ბავარიელთა მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ აღნიშნა, ვიდალი ბაიერნისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა და არ იყიდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ქართველმა კალათბურთელებმა საბერძნეთს მოუგეს



საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა „აკროპოლისის თასზე“ პირველივე დღეს ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა. ილიას ზუროსის მეტოქე საბერძნეთის ეროვნული გუნდი გახლდათ, რომელიც ტურნირის მასპინძელი და ფავორიტია. ქართველებმა ღირსეულად ითამაშეს ძლიერ მეტოქესთან და ელინები 72:71 დაამარცხეს.

ეს არ იყო იდეალური თამაში. საქართველოს ნაკრებს ჰქონდა კარგი მომენტები და ჰქონდა ჩავარდნები, მაგრამ უდავოდ ძალიან დადებითი იყო ჩვენი გუნდისთვის. ძლიერ მეტოქესთან, მისსავე მოედანზე ასე ღირსეულად ჩატარებული შეხვედრა ნამდვილი დასტურია იმისა, რომ ჩვენი ნაკრების მოსამზადებელი პერიოდი აღმავლობით მიმდინარეობს და სავარაუდოა, რომ ევროპის ჩემპიონატს პიკში შეხვდება.

თუმცა, არის კიდევ ერთი მომენტი – რამდენად გაუძლებს ჩვენი ნაკრები სატურნირო დატვირთვას. მართალია, მომავალ ევრობასკეტზე უფრო მეტი დასვენების დღეებია, ვიდრე აქამდე ჩატარებულზე, მაგრამ არც ჩვენი ნაკრების სათადარიგო სკამია გრძელი...

პირველი პერიოდის 10 ქულით (8:18) წაგების შემდეგ ილიას ზუროსის როტაციამ გაამართლა და ქართველებმა მეორე მეოთხედში მოახერხეს ჩამორჩენის მნიშვნელოვნად შემცირება. ფაქტობრივად შეუჩერებელი იყო გიორგი შერმადინი, რომელმაც პირველ ტაიმში 15 ქულა ჩააგდო, ხოლო მე-3 პერიოდში მას თორნიკე შენგელიამაც აუბა მხარი და ქართველებმა ლიდერობა მოიპოვეს. ზუროსის გუნდი 4 ქულით ორჯერ იგებდა – 41:37 და 47:43, თუმცა მესამე ათწუთეულის ბოლოს მხოლოდ ერთქულიანი ლიდერობა შერჩა – 53:52.

მეოთხე პერიოდი მასპინძლებმა 7:0 გაქცევით დაიწყეს და 59:53 დაწინაურდნენ. დაცვაში დაშვებული შეცდომების გამო ქართველები 9 ქულითაც (56:65) ჩამორჩნენ, თუმცა მაინც არ გატყდნენ და მაიკლ დიქსონის, მანუჩარ მარკოიშვილის, თორნიკე შენგელიას და გიორგი შერმადინის ქულებით ჩამორჩენა მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 2 ქულამდე შეამცირეს – 67:69.

დასკვნით წუთებში ქართველებმა მობილიზებულად ითამაშეს. თორნიკე შენგელიამ ჯერ მნიშვნელოვანი ორქულიანი ჩააგდო, შემდეგ გიორგი ცინცაძემ საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე დამაწინაურებელი სამიანი მიითვალა – 72:71. ბოლო შეტევაში ქართველებმა კარგად დაიცვეს თავი და გიორგიოს პრინტეზისის აცილებული ბურთის მერე გამარჯვება გაიფორმეს.

აღსანიშნავია, რომ 17.000 არენაში მხოლოდ 3.000-დე მაყურებელი შეგროვდა, რომლებშიც ქართველები უმეტესობაში არ იყვნენ, თუმცა შეძახილებით უფრო ომახიანად ამხნევებდნენ ჩვენებს, ვიდრე ბერძნები საკუთარ ნაკრებს. ქართველი ემიგრანტები მრავლად იყვნენ დარბაზში და ჩვენს გუნდს ერთგულებით თავი დაამახსოვრეს.

გეტყვით, რომ საბერძნეთი-საქართველოს მატჩის დასრულების შემდეგ ილიას ზუროსს ხელი არ ჩამოართვა საბერძნეთის ნაკრებისა და პანათინაიკოსის მცველმა ნიკოს პაპასმა და საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ამ თემაზე საუბარი არ ისურვა.

# დათა სიჭინავა: „ჯარიმების დარტყმა დელ პიეროს გამო ვისწავლე“



საქართველოს ეროვნული ლიგა 2-ის დივიზიონის გუნდ რუსთავის შემტევმა ნახევარმცველმა დათა სიჭინავამ 22 შეხვედრაში 18 გოლის გატანა მოახერხა და ბომბარდირთა დავას სიონელ ჯაბა დვალთან ერთად ლიდერობს. ამ გოლებიდან 8 ჯარიმიდან გაიტანა. ამას გარდა, თასზეც მოახერხა თავის გამოჩენა.

მისი ჯარიმა პენალტივითაა, გოლების უმრავლესობა კი – შორეული და ლამაზი. სიჭინავა ეროვნული ლიგა 2-ის პირველი ნახევრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და მას სიამოვნებით იხილავდნენ 1-ლი ლიგის გუნდებიც.

***– სეზონი პირადად შენთვისაც წარმატებით მიდის და გუნდისთვისაც – რუსთავი ერთ-ერთი ლიდერია, ხოლო თავად ბომბარდირთა სათავეში ხარ და პირველი წრის საუკეთესო მოთამაშედაც გაღიარეს.***

– როდესაც შევიტყვე, რომ საუკეთესო გავხდი, ძალიან ბედნიერი ვიყავი, რადგან ეროვნულ ლიგა 2-ში ბევრი კარგი ფეხბურთელი თამაშობს. გამიხარდა, არჩევანი ჩემზე რომ შეაჩერეს. შრომა და მონდომება რომ დაგიფასდება, ეს ერთი მხარეა, მეორე კი ისაა, რომ დიდი სტიმული გეძლევა.

***– უფრო კონკრეტულად?***

– როდესაც გაფასებენ და ასეთ საპატიო პრიზს სტადიონზე, ხალხის წინ გადმოგცემენ, სხვაგვარად მონდომებული ხდები. მთავარი ისაა, რომ გამორჩეულ მოთამაშეებს ყურადღებას გვაქცევენ და ადრინდელივით ქვედა ლიგის ამბებს მხოლოდ ვიწრო წრე არ იგებს. ეს ყურადღება ძალიან გვჭირდებოდა. მეორეს მხრივ, ელემენტარული საკითხია – აღიარების შემდეგ გუნდებიც და მენეჯერებიც მეტ ყურადღებას გაქცევენ.

***– ანუ საუკეთესო მოთამაშის პრიზის გადმოცემის შემდეგ წინადადებები მიიღე?***

– არც უამისობაა. რა თქმა უნდა, ყურადღება და მიწვევები გამიხარდა. მაგრამ სუფთა ადამიანური მომენტი იყო – ეროვნული ლიგის გუნდში თამაში სეზონის დასაწყისშიც შემომთავაზეს და ახლაც. საკმაოდ კარგი გუნდები შემეხმიანნენ. მაგრამ რუსთავს ვერ მივატოვებდი ვერც მაშინ და ვერც ახლა – ეს კლუბი გვერდში ისეთ დროს დამიდგა, ჩემგან მიტოვება სწორი საქციელი არ იქნებოდა. შეგნებულად არაფერს ვამბობ იმაზე, რომ რუსთავთან კონტრაქტი მაკავშირებს. აქ უფრო მნიშვნელოვანი ადამიანური მომენტია, რაც ჩემთვის ყველანაირ კონტრაქტზე მაღლა დგას. შუა სეზონში ტრანსფერზე ფიქრით გონება არ მინდა დავიმძიმო და ავირიო. თორემ, რომ ვთქვა, ეროვნულ ლიგაში თამაში არ მინდა-მეთქი, ტყუილი იქნება. სეზონი დამთავრდება და მერე დავფიქრდები, სად ვითამაშო.

***– სეზონს რუსთავიც კარგად ატარებს და ეროვნულ ლიგაში გადასვლის რეალური კანდიდატია.***

– მეც მჯერა, რომ ეს რეალურია. ამის პოტენციალი გაგვაჩნია. ეროვნული ლიგა-2 წლეულს ძალიან დაძაბულია და, ამის მიუხედავად, დამაჯერებლად გამოვიყურებით.

***– საჯარიმო დარტყმებზეც გადავიდეთ. 8 გოლი ჯარიმიდან გაიტანე, რამდენიმეც – სათამაშო ეპიზოდიდან, მაგრამ საკმაოდ შორიდან.***

– ეს ყველაფერი ვარჯიშის შედეგია. ბავშვობიდან ძლიერი დარტყმა მქონდა და რადგან დელ პიეროს ფანი ვიყავი, ჯარიმის შესრულების სურვილი მისი მიბაძვით გამიჩნდა. მოგვიანებით, რომ წამოვიზარდე, უმაღლესი ლიგის გუნდში მოვხვდი და ჩემპიონატში დავით მუჯირის დარტყმები ვნახე, სურვილი გამიმძაფრდა – რაღაც საოცარი ძალით ურტყამდა. ფოთის კოლხეთში ბაზაზე ცხოვრება მიწევდა და სხვა რა საქმე მქონდა, თავისუფალ დროს სულ დარტყმებზე და კუთხურებზე ვვარჯიშობდი. რამდენჯერმე ჯარიმიდან რომ გავიტანე, ვარჯიშის სურვილი კიდევ უფრო გამიძლიერდა. მერე ქუთაისის ტორპედოშიც ბაზაზე ვცხოვრობდი და იქ კიდევ უფრო დავიხვეწე. დღემდე რუსთავშიც ასე ვარ, მოედანი დაკავებული თუ არაა, დარტყმაზე ვვარჯიშობ.

***– ყველაზე შორიდან გატანილი თუ გახსოვს?***

– ფოთის კოლხეთში ვიყავი, პირველ ლიგაში, დაახლოებით, 35 მეტრიდან გავიტანე. მეორედ ასეთი რამ ტორპედოში მოვახერხე, როდესაც დაახლოებით იგივე მანძილიდან საბურთალოს გავუტანე. სხვათა შორის, ერთხელ – მაშინაც კოლხეთში ვიყავი, ცხინვალს 2 გოლი გავუტანე. ჯერ ჯარიმით, მერე კი კუთხურიდან. ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში იყო. თუმცა, კუთხურიდან მანამდეც გამიტანია.

***– ზოგჯერ ისე შორიდან ურტყამ, ბევრი ამას ვერ გაბედავს. ამ დროს მეკარის მოძრაობას აკვირდები?***

– მთავარი ეს არის, სად დგას მეკარე და ღირს თუ არა დარტყმა.

***– და რა დროს არ ურტყამ?***

– თუ მარცხენა ფეხი გამითავისუფლდება, უმეტესად ვურტყამ.

***– საუკეთესო რომელი ბურთია?***

– კაცობრიობას „ჯაბულანზე“ უკეთესი ბურთი არ დაუმზადებია.

***– რატომ?***

– არარეალური ტრაექტორიით მიფრინავდა. მეკარეებს არ უყვარდათ და ჩემთვის გამორჩეული იყო.

***– ჯაბულანი აღარ მზადდება, მაგრამ გოლები მაინც გაგაქვს...***

– სხვათა შორის, ფეხბურთის ფედერაციამ გუნდებს „ადიდასები“ რომ დაგვირიგა, ესეც კარგი ბურთია.

***– წლეულს გატანილებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგეწონა?***

– გაგრას 2:1 რომ მოვუგეთ. ეს ამ სეზონში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი იყო. ვაგებდით და ეს გოლი ჩვენთვის ბევრს ნიშნავდა.

## შედეგები

**23 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ლივერპული-ჰოფენჰაიმი | 4:2 |
| სლავია-აპოელი | 0:0 |
| სტიაუა-სპორტინგი | 1:5 |
| კოპენჰაგენი-ყარაბახი | 2:1 |
| ცსკა-იანგ ბოიზი | 2:0 |

# ბრიჟიტ მაკრონმა მეუღლე დაჩრდილა



მასმედია საფრანგეთის პირველი ლედის ბრიჟიტ მაკრონის „პატარა წითელ კაბაზე“ საუბრობს. მას, კერძოდ, ყურადღება გაზეთმა ტელეგრაფმა მიაქცია.

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და მისი მეუღლე ზალცბურგში ავსტრიის, საფრანგეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ლიდერების სამიტზე ჩავიდნენ. სამიტის პირველ დღეს მთელი ყურადღება პირველი ლედისადმი იყო მიპყრობილი, რომელმაც აეროპორტში საკუთარი მეუღლე დაჩრდილა.

სტუმრებს დახვდნენ ავსტრიის კანცლერი კრისტიან კერნი და მისი მეუღლე ეველინ შტაინბერგერგი.

# სინდი კროუფორდმა თავი მერილინ მონროს სახით წარმოადგინა



ამერიკელმა სუპერმოდელმა სინდი კროუფორდმა საკუთარი თავი ჰოლივუდის ლეგენდის მერილინ მონროს სახით წარმოადგინა. სურათები მან სოციალურ ქსელ ინსტაგრამში განათავსა.

ფოტოზე 51 წლის კროუფორდი პლატინის პარიკით პოზირებს. მას მაკიაჟი მონროს სტილში აქვს გაკეთებული, ხოლო ტანთ თეთრი ხალათი აცვია.

კონკრეტულად რომელი ფოტოსესიისთვის შეიცვალა იმიჯი კროუფორდმა, უცნობია.

შეგახსენებთ, რომ კროუფორდი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოდელია. მისი სურათი 600-ზე მეტი ჟურნალის გარეკანზეა დაბეჭდილი, თანამშრომლობდა მოდის წამყვან სახლებთან.

# იტალიური ბრენდები მოდის კვირეულის ბილეთებს აუქციონზე ყიდიან



იტალიურმა ბრენდებმა აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს მილანის მოდის კვირეულზე დასასწრები ბილეთები, რომელზეც მათი კოლექციების ჩვენება გაიმართება.

მოდის კვირეულის მონაწილეთა შორის არიან ვერსაჩე, ჯორჯო არმანი, ალბერტა ფერეტი, ტრუსარდი და სალვატორე ფერაგამო.

ვერსაჩეს დეფილეს გარდა, ვაჭრობის გამარჯვებული ბიზნესმენ სანტო ვერსაჩეს შეხვდება, ასეთივე ლოტი წარმოადგინა დიზაინერმა ფაუსტო პულიზიმ.

აქციას კიდევ რამდენიმე კომპანია შეუერთდა, რომელთაც აუქციონზე ბილეთების ნაცვლად გასაყიდად საკუთარი პროდუქცია გამოიტანეს.

მიღებული შემოსავალი მთელ რიგ საქველმოქმედო ფონდებს გადაეცემა.

# ბიგ მაკის სოუსის შემადგენლობა ცნობილი გახდა



ინტერნეტში გამოქვეყნდა ინგრედიენტები, რომლებიც ბიგ მაკის სოუსის მოსამზადებლადაა აუცილებელი. ესაა ბურგერი, რომელიც სწრაფი კვების რესტორნების ქსელ „მაკდონალდსში“ მზადდება.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რისგან შედგება სოუსი, ერთ-ერთ სერვისში იქნა აღმოჩენილი, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, სია ნამდვილია თუ არა. ამ საკითხზე „მაკდონალდსში“ კომენტარს არ აკეთებენ.

ინგრედიენტების ჩამონათვალში, რომელიც 33 ნაწილისგან შედგება, შედის სოიოს ზეთი, ძმარი, კვერცხის გული, ხახვის ფხვნილი, მარცვლოვანი მდოგვი, შაქარი, კურკუმა და სხვა ნივთიერებები.

ასევე ინტერნეტში გავრცელდა კიდევ ერთი რეცეპტი, რომლითაც თითქოსდა სახლის პირობებშიცაა შესაძლებელი იმავე გემოს სოუსის მიღება და მასში შვიდი ინგრედიენტი შედის. ისინი ერთმანეთში ჯამში უნდა შეერიოს და ღამით მაცივარში მოთავსდეს. სანამ სოუსი მზადდება, მას რამდენჯერმე სჭირდება მორევა.

სოუსის მოსამზადებლად უნდა აიღოთ: ნახევარი ჭიქა მაიონეზი, 4 ჩაის კოვზი მოტკბო გემოს კიტრის მწნილი, 1 ჩაის კოვზი თეთრი ძმარი, 1/8 ჩაის კოვზი მარილი, 2 სუფრის კოვზი ფრანგული საკმაზი, 1 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული თეთრი ხახვი, 1 ჩაის კოვზი შაქარი.

ორიგინალური სოუსი მეწარმე ჯიმ დელატიმ გამოიგონა, რომელმაც ბიგ მაკი 1960-იანი წლების ბოლოს შექმნა.

# ჰელოუინისთვის „სექსუალური ჯონ სნოუს“ კოსტიუმს გამოუშვებენ



ჰელოუინისთვის „სექსუალური ჯონ სნოუს“ არაოფიციალური კოსტიუმი გამოუშვეს სერიალიდან „სამეფო კარის თამაშები“.

ჩასაცმელი ქალურია. მას „სექსუალური ჩრდილოეთის დედოფალი“ ჰქვია და მისი გამოშვება ჩრდილოეთის მეფის ჯონ სნოუს კოსტიუმით არის ნაკარნახევი.

– ჰელოუინი ახლოსაა, – წერს ერთ-ერთი გამოცემა სერიალის სლოგანის პერიფრაზირებით („ზამთარი ახლოსაა“).

ჩასაცმელები, რომლებიც „სამეფო კარის თამაშებს“ უკავშირდება, ხშირად არანაკლები მსჯელობის საგნად იქცევა, ვიდრე თავად სერიალი. მაგალითად, სერიალის ერთ-ერთი გმირის ახალ კოსტიუმს ვესტეროსის ზამთრის საუკეთესო ჩასაცმელი უწოდეს.

# მუზეუმის დამთვალიერებლებმა 800 წლის კუბო დააზიანეს



დიდ ბრიტანეთში მუზეუმის დამთვალიერებლებმა 800 წლის კუბო მის ფონზე სურათის გადაღების მცდელობისას დააზიანეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი Prittlewell Priory Museum-ში მოხდა, რომელიც საუთენდ-ონ-სი-ში (ესექსი) მდებარეობს.

სათვალთვალო კამერების ჩანაწერების თანახმად, დამთვალიერებლების ოჯახი შეეცადა, სურათი ბავშვთან ერთად გადაეღო და ამ პროცესის დროს კუბო დააზიანა. დამთვალიერებლები ისე მიიმალნენ, რომ მომხდარის შესახებ არავისთვის გაუმხელიათ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის ცნობით, ექსპონატის შეკეთებას უმნიშვნელო თანხა დასჭირდება, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ ექსპონატი მთლიანად უნდა დაიხუროს. მან ასევე დამთვალიერებლებს მოუწოდა, ყურადღება მიაქციონ დამცავ ღობეებსა და გამაფრთხილებელ ნიშნებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# მეხანძრეებმა გადარჩენილი გოჭები შეჭამეს

ბრიტანეთის უილშირის საგრაფოს სოფელ პიუიზის მეხანძრეებმა შეჭამეს გოჭები, რომლებიც თავადვე გადაარჩინეს ხანძრისგან. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

მიმდინარე წლის თებერვალში მაშველები ერთ-ერთ მახლობლად მდებარე ფერმაში ხანძრის ჩასაქრობად იყვნენ გასული. იქ 60 ტონა თივა იწვოდა. მათ ალმოდებული შენობიდან ორი დედა ღორისა და 18 გოჭის გამოყვანა შეძლეს.

ნახევარი წლის შემდეგ ფერმის პატრონმა სახანძრო სამსახურის თანამშრომლები სოსისების დასაგემოვნებლად მიიწვია, რომლებიც მათ მიერ გადარჩენილი გოჭების ხორცისგან იყო დამზადებული. მისი განმარტებით, ასეთი სახით სურდა მათთვის მადლობის გადახდა თავისი ცხოველების გადარჩენისთვის.

# ასტროპროგნოზი

**25 აგვისტოსთვის**



**ვერძი** – დაძაბული და წინააღმდეგობრივი დღეა. ნებისმიერ სფეროში სიძნელეები შეგხვდებათ. **კურო** – იფრთხილეთ. კონფლიქტი ახლობლებთან მაქსიმალურად აირიდეთ. კეთილისმყოფელი დღეა ოჯახური ურთიერთობებისათვის. **ტყუპები** – ნუ იუხეშებთ. სკანდალური დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. **კირჩხიბი** – ახალი საქმის დასაწყებად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. რთული სიტუაციიდან გამოსავლის მოძიებაში მეგობრები დაგეხმარებიან. **ლომი** – ნუ დაწვრილმანდებით. მიმტევებლობა და დიდსულოვნება დღის დევიზია. **ქალწული** – გაუფრთხილდით ურთიერთობას ახლობლებთან. კონფლიქტს ნუ გაამწვავებთ. **სასწორი** – ფინანსური პრობლემები კვლავ თავს იჩენს. ნებისმიერი რისკი დაგაზარალებთ. **მორიელი** – იმპულსური დღეა. სიმტკიცე და ორგანიზებულობა წარმატებას მოგიტანთ. **მშვილდოსანი** – შესაძლოა გეგმები შეგეცვალოთ. მთლიანობაში, საკმაოდ მშვიდი და იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **თხის რქა** – გამოიჩინეთ პრინციპულობა, საქმისადმი ერთგულება, რაც, საბოლოო ჯამში, დადებით შედეგს გამოიღებს. **მერწყული** – გელით სიურპრიზი. სასიამოვნო ახალი ამბავი თქვენს საქმიანობაზეც აისახება. **თევზები** – იაქტიურეთ. შემოქმედებითი კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 2. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 3. ხელოვნური საერთაშორისო ენა; 4. მონასტერი ქსნის ხეობაში; 5. საქორწილო მარშის ავტორი გერმანელი კომპოზიტორი; 10. დაბალი ხარისხის შაქარი; 11. ნეპალის დედაქალაქი; 12. მდინარე ერევანში; 13. საქართველოს ეროვნული გმირი; 16. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 17. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი; 19. კუთხე საქართველოში; 21. ფულის ერთეული ჩინეთში; 23. მოკლე შარვალი.

**თარაზულად**: 6. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 7. ქართველი პრიმაბალერინა; 8. სწორკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი; 9. ნიადაგის დამამუშავებელი მანქანა; 14. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 15. სპარსელ დამპყრობელთა სახელწოდება საქართველოში; 18. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 20. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 22. ქართველი მევიოლინე ქალი; 24. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 25. პირველი მაჯის საათის შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 26. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაჭკაჭი; 2. კორომი; 3. ფოლკნერი; 4. ღერღილი; 7. მარგალიტი; 8. ბუდეშური; 12. ნიშადური; 14. კადილაკი; 16. პენალტი; 17. ჯეოსელი; 19. ცემი; 20. ზარა.

**თარაზულად:** 5. ვაპორეტო; 6. ოჩოპინტრე; 9. ჯალიტა; 10. მატანი; 11. ოდიში; 13. ნიყვი; 15. ბაიერი; 18. სესტი; 21. ყანდარელი; 22. ლებარდე; 23. მიამიტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჩედვიკი; 2. საფირონი; 3. დიპლომატი; 4. ბროკერი; 5. მანერგეიმი; 10. მალაგა; 11. ფარავანი; 12. ჯინჯილა; 13. კელნერი; 16. მონტესუმა; 17. კიმიგაიო; 19. ანტიგონე; 21. გესლი; 23. აჭარა.

**თარაზულად:** 6. დეგრადაცია; 7. კრიტიკა; 8. წიქარა; 9. კორონერი; 14. დეკალოგი; 15. დინოზავრი; 18. გენია; 20. ლიპტონი; 22. პიანინო; 24. ხერესი; 25. ჩურჩხელა; 26. კარტიე.

# რომანოვების რეზიდენციის რეაბილიტაცია იწყება



„საპარტნიორო ფონდი“ ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის, ლიკანის კომპლექსის, „რომანოვების რეზიდენციის“ რეაბილიტაციისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოებს იწყებს.

ამ ეტაპზე მოხდება რომანოვების სასახლის, ორანჟერიისა და საკონფერენციო დარბაზის, აგრეთვე პარკისა და ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის რეაბილიტაციის პროექტირება. ამასთანავე, ჩატარდება სასახლის მუზეომოგრაფიული კვლევა და შეიქმნება მთლიანი კომპლექსის გენერალური გეგმა.

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად 771.000 ლარი დაიხარჯება. საპროექტო სამუშაოების ხანგრძლივობაა რვა თვე. პროექტირების დასრულებისთანავე დაიგეგმება სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაობის დაწყება.

მთავრობის გადაწყვეტილებით, „ლიკანის პარკს“ ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი უკვე მიენიჭა.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და „საპარტნიორო ფონდს“ შორის გასულ წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ფონდმა კომპლექსის რესტავრაცია-რეაბილიტაციის ვალდებულება აიღო.

კომპლექსის პროექტირებისა და მომდევნო რეაბილიტაცია-რესტავრაციის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით „საპარტნიორო ფონდი“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან აქტიურად თანამშრომლობს.

# სალომე ჯიქიამ როსინის საოპერო ფესტივალზე წარმატებას მიაღწია



ახალგაზრდა ქართველმა სოპრანო სალომე ჯიქიამ სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებისა და ხოსე კარერასთან ერთად მსოფლიო ტურნეში მონაწილეობის შემდეგ იტალიაში გამართული როსინის საოპერო ფესტივალზეც წარმატებას მიაღწია.

ინფორმაცია სალომეს წარმატების შესახებ მისმა კოლეგამ, იტალიაში მცხოვრებმა ქართველმა საოპერო მომღერალმა გიორგი ცინცაძემ გაავრცელა:

– მინდა გაცნობოთ იმ დიდი სასიხარულო ამბის შესახებ, რომელსაც თითქმის ერთი თვის განმავლობაში მე განვიცდიდი, იმ დიდი წარმატების შესახებ, რომელიც ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილმა და მომღერალმა სალომე ჯიქიამ განგვაცდევინა.

ვიმყოფებით იტალიაში, ქალაქ პეზაროში, როსინის საოპერო ფესტივალზე, სადაც სალომემ შეასრულა როსინის ერთ-ერთი ოპერიდან მთავარი პარტია და მინდა გითხრათ, სრული ანშლაგით, სადაც სალომემ მთელი ფესტივალი და ფესტივალის მონაწილეები აალაპარაკა საქართველოზე, მის სიმღერასა და ვოკალურ შესაძლებლობებზე. გავხდი იმის მხილველი, თუ როგორ ელოდა ყოველი სპექტაკლის ბოლოს ზღვა გულშემატკივარი სალომესთან შეხვედრას და მათი ოვაციების გაგრძელება გრძელდებოდა თეატრის გამოსასვლელიდან. ეს ის გრძნობაა და სიამაყეა, როცა ამხელა პუბლიკისა და კრიტიკოსების გარემოცვაში ხარ დომინანტი, იწერება აგრეთვე იტალიურ ჟურნალებსა და გაზეთებში, გადაიცა პირდაპირი ტრანსლაციით სპექტაკლები და ეს საამაყო ამბავი მინდა გაგიზიაროთ ყველას. ვულოცავ კიდევ და კიდევ სალომეს ამ უდიდეს წარმატებას და დიდი მადლობა ამ სიამაყის მონიჭებისთვის, რაც აქ ქართველმა შეიძლება განიცადოს. სალომე მღერის სტაბატ მატერს და ვუსურვებ კიდევ და კიდევ დიდ წარმატებას. ეს ნამდვილად ერის სიამაყეა, სადაც ამხელა ვარსკვლავების გარემოცვაში მოკაშკაშე ვარსკვლავი არის ქართველი.

# მოძრაობის თეატრის აფიშებს მიზანმიმართულად აზიანებენ



მოძრაობის თეატრის წარმომადგენელ იოსებ ბაკურაძეს თბილისის მერიამ მისცა საშუალება, რომ მათი აფიშები მუნიციპალური თეატრებისთვის გამოყოფილ ვიტრინებში გაეკრა. თეატრის მესვეურებმა აფიშები გააკრეს, მაგრამ მეორე დღეს მათ საკუთარი აფიშები ველარსად ნახეს.

**იოსებ ბაკურაძე:**

– ქალაქის მერიამ მომცა საშუალება, მოძრაობის თეატრის აფიშები გამეკრა მუნიციპალური თეატრებისათვის გამოყოფილ ვიტრინებში. ქალაქში სულ 15 ასეთი ადგილია. კიდევ ერთხელ მადლობა მათ ამისათვის, რომ პრეცედენტი დაუშვეს დამოუკიდებელი თეატრისათვის. წავედი და, აი, რა დამხვდა კიკვიძის ბაღში, ფილარმონიასთან, დელისთან და ბუკიას ბაღში.

ბინების გაქირავების, გასართობი ცენტრებისა თუ გაუგებარი გართობების, ვინმე თუ ავად არის და დახმარება სჭირდება, აზიელი მომღერლების კონცერტებისა და კიდევ სხვა სახის პოსტერებსა და განცხადებებს თუ ვერ ნახავთ, იცოდეთ, მე მაქვს. მეც ისევე მიყვარხართ, როგორც თქვენ გიყვართ ქართული თეატრი.

# „გეყიდათ 100 ვერტმფრენი!“



უცხოეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი სოფი ვილი – სოფო ხუციშვილი – საქართველოს მთავრობის მიერ ჩექ ინ ჯორჯიას ფარგლებში დახარჯულ მილიონობით ლარს აპროტესტებს. მომღერალი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარმოებულ კვლევას აქვეყნებს, სადაც მოყვანილია ის ციფრები, რაც საქართველოს მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავების ჩამოყვანა დაუჯდა.

**სოფი ვილი:**

– 40 მილიონ ლარად ვერტმფრენები და ტექნიკა გეყიდათ! 3 ვერტმფრენი როგორ ჩააქრობს 8 ჰექტარს? 500 მეხანძრე საერთოდ უფუნქციოა ამ შემთხვევაში. გეყიდათ 100 ვერტმფრენი ამ თანხით, გამოგეჩინათ მზრუნველობა და სიფრთხილე! სანამ 1 ჰექტარზე იყო ხანძარი, მიგეხედათ! ვუყურებ პირდაპირ ეთერს და ცრემლებს ვერ ვიჩერებ. და კიდევ, ტელევიზიები, რომლებიც ამ მომენტში სერიალებს აჩვენებენ, დასახურია!

# რატი წითელაძე: „მეტი ყურადღება ქართულ კინოს!“



– მეტი ყურადღება ქართულ კინოს! – აცხადებს ახალბედა რეჟისორი რატი წითელაძე და თავის მორიგ წარმატებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

რეჟისორმა თავისი ახალი პროექტით „ცარიელი სახლით“ სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზე გამარჯვება მოიპოვა.

კანის კინოფესტივალის პრიზის, ევრიმაჟის მთავარი ჯილდოს მოპოვებისა და ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე სპეციალური აღნიშვნის პრიზის შემდეგ „ცარიელი სახლი“ ნორვეგიის რიგით 45-ე საერთაშორისო ფესტივალზე იქნა შერჩეული.

„ცარიელი სახლის“ თანაპროდიუსერ და სცენარის ავტორ ნინო ვარსიმაშვილთან ერთად 23-25 აგვისტოს რატი წითელაძე თავის პროექტს კინოფესტივალზე წარადგენს.

„ცარიელ სახლი“ მსოფლიოს პრესტიჟული სანდენსის საერთაშორისო კინოფესტივალის ფინალურ ეტაპზეც არის მოხვედრილი, რატი კი შერჩეულია კანის კინოფესტივალის მიერ 6 საუკეთესო რეჟისორს შორის.

„ცარიელი სახლი“ ავტობიოგრაფიული ისტორიაა, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში ვითარდება და 11 წლის გოგონას ტრაგიკულ ამბავს გვიამბობს.

„ცარიელი სახლი“ რატი წითელაძისთვის პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია. რეჟისორის სადებიუტო ნამუშევარი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „დედა“ იყო, რომელიც მსოფლიო მასშტაბით 200-მდე ფესტივალზე, 40-ზე მეტ ქვეყანაში იქნა ნაჩვენები. ფილმს მოპოვებული აქვს 19 საერთაშორისო პრიზი ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, არგენტინის, ესპანეთისა და სხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# თემო საჯაიას გადაცემა დაიხურა



მომღერალმა თემო საჯაიამ გასული სატელევიზიო სეზონი ტელეწამყვანის ამპლუაში ტელეკომპანია „იბერიაზე“ გაატარა. მომღერალს შუადღისას გადაცემა „3-დან 5-მდე“ მიჰყავდა. როგორც თემომ განაცხადა, გადაცემა დაიხურა და ახლა მომღერალი სხვა ტელეკომპანიებიდან ახალი წინადადებების მოლოდინშია.

**თემო საჯაია:**

– მოგახსენებთ, რომ ტელეკომპანია „იბერიაზე“ დასრულდა ჩემი მოღვაწეობა და სექტემბრიდან ჩვენი შუადღე „3-დან 5-მდე“ ეთერში აღარ გავა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ყველა თანამშრომელს. ერთად ძალიან საინტერესო ერთი წელი გავატარეთ და უამრავი საინტერესო გადაცემა გავაკეთეთ. ტელეკომპანია „იბერიას“ კი ვუსურვებ წინსვლასა და წარმატებებს. სიამოვნებით განვიხილავდი სხვა ტელეკომპანიაში გადასვლის ვარიანტებს.

# ნიუიორკელმა ქვრივმა კატებს 300 ათასი დოლარი დაუტოვა



ქვრივმა ნიუ იორკის ბროქსიდან ელენ ფრეი-ვაუტერსმა თავის ორ კატას მემკვიდრეობით 300 ათასი დოლარი და ასევე მათი მოვლის ინსტრუქცია დაუტოვა.

ფრეი-ვაუტერსი წარმოშობით ნიდერლანდებიდანაა. ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუშაობდა. მისი მეუღლე 1989 წელს გარდაიცვალა, ხოლო მათი ერთადერთი შვილი – ჩვილ ასაკში. თავად ფრეი-ვაუტერსი 2015 წელს 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.

– კატები მისთვის შვილებივით იყვნენ, – განაცხადა დალია გრიზლიმ, რომელიც სახლში სამედიცინო-სოციალური დახმარების აღმომჩენი სამსახურის ყოფილი თანამშრომელია და რომელიც ფრეი-ვაუტერსთან მუშაობდა. ამჟამად ის ქალის ერთ-ერთ კატას, სახელად ვეფხვს უვლის.

მეორე კატაზე, სახელად ტროიზე, ფრეივაუტერსის მეორე მომვლელი რიტა პოხილა ზრუნავს.

კატების სიკვდილის შემდეგ თანხა, რომელიც მათ ფონდში ინახება, ფრეი-ვაუტერსის ოჯახის ერთადერთ წევრს ნიდერლანდებში მცხოვრებ მის დას გადაეცემა. დანარჩენი ქონება 3 მილიონი დოლარის ოდენობით ქვრივის კიდევ ორ მომვლელს, საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და მის ადვოკატებს გაუნაწილდათ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

თანავუგრძნობთ და ვიზიარებთ ვეფხია და ლია არაბულების ოჯახის მწუხარებას დეიდის

**ნანა სისაურის**

გარდაცვალების გამო.

ნათელში ამყოფოს უფალმა!

*კუსუნა მზარელუა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

პარასკევი 25 აგვისტო

**06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" **10.00, 02.40** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.20, 03.40** დღის მხ/ფ "**მეშვიდე წლის ქავილი**" (მ.მონრო) **15.00, 05.15** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **19.35** **კალათბურთი.** აკროპოლისის ტურნირი. **იტალია-საქართველო.** (პირდაპირი საბერძნეთიდან.) **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** მხ/ფ "**სოლისტი**" (ჯ.ფოქსი) **01.00** მხ/ფ "**ფსკერზე**"

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**07.00, 14.40** სერ. "**ელიფი**" **08.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.10** ქრონიკა **09.20** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** სერ. "**ღირსების სახელით**" **16.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სერ. "**ძმა**" **22.30** სერ. "**ელ პრინსიპე**" **00.00** მხ/ფ "**წინასწარმეტყველი**" **02.30** მხ/ფ "**კამელოტის დრაკონები**" **04.25** მხ/ფ "**ჩემი ერთადერთი და განუმეორებელი**"

**06.00, 18.45** სერ. "**კაცი**" **07.00, 19.45, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **08.00** სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**" **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** სერ. "**ვარსკვლავის დაბადება**" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ - ბესტი **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.30** მხ/ფ **01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ **03.30** მხ/ფ

**08.00** ან/ფ "ავატარი **2**" **09.00** სერ. "**მონკი-6**" **10.00** სერ. "**მონკი 7**" **13.00** სერ. "**ძვლები-3**" **17.00** სერ. "**სიმართლის ანატომია 2**" **19.00** სერ. "**ლურჯის ელფერი**" **21.00** სერ. "**კრიმინალური რომანი-2**" **22.30** სერ. "**გომორა-2**" **02.30** მხ/ფ "**მე ვარ ნომერი ოთხი**" **04.30** მხ/ფ "**ედ ვუდი**" **06.30** მხ/ფ "**ცხოვრების გემო**"

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** სერ. "**მეომრები**" **ნაპოლეონი** **09.20** მულტსერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის** **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.25, 22.35** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **11.50, 1.30** მოდი გავიყაროთ **12.40** ბენეფისი **14.30, 19.55** მე რომ ვიყო **15.00** სერ. "**ბანდოლერა**" **18.00** ღია სტუდია **20.00** სერ. "**ფოილის ომი**" **21.30** რატის ბლოგი **22.00** სინემანი **22.40** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის** **0.00** მხ/ფ "**მეჯვარე**" **03.00** ღია სტუდია **04.00** სერ. "**რაუ**"

**06.15** კვირიაკე **07.00** ერთხელ ბავშვობაში "მერაბ ძნელაძე" **07.25** მოკ. მხ/ფ "შიში" **07.40** საქართველოს ქალაქები "ვანი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.40** თბილისის ტაძრები "ჯვრის მამა" **09.05** "განთიადი"-(კოლაჟი) **10.20** მხ/ფ "**მობი დიკი**" ||| **11.05** "მსოფლიო საგანძური"-ალჰამბა-ესპანელი მავრების რეზიდენცია **11.20** "ერთსულოვანი ოჯახი"-იაკობაშვილები **12.10** მხ/ფ "**ბაში-აჩუკი**" **13.30** "შუადღის სტუმარი"-მამა ელიოზი **13.50** "შუადღის სტუმარი"-ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი-დ. შენგელია **14.30** შარავანდედი-დიმიტრი არაყიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.20** ოპერა "რიგოლეტო" I-II **17.28** დ/ფ "ველური ბუნება-ყარყუმი" **18.15** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია...მესტია **18.30** ქვიშანი დარჩებიან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** მხ/ფ "**მამლუქი**" **20.30** ჩვენი ამბავი "ძმები კლდიაშვილები" **20.40** ძილი ნებისა "იესოს პირველი სასწაული" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები "მერაბ კვიტაშვილი-თეირანი" **22.05** "კვირიაკის" სიუჟეტი "კოლაუ ნადირაძე" **22.15** ჩვენი ფონდი "ელდარ ბუბულაშვილი საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები" **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ყოველი სამშვილდე-ჭივჭავის შემოგარენი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებური წარსული "მთიები ედიშერ გარაყანიძე" **23.45** ღვთის სახლი "ქურმუხის ტაძარი" **00.10** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** მხ/ფ "**დიმიტრი**||"

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**25 აგვისტოსთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**



აშშ დოლარი — 2.3946



ევრო — 2.8216



ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0646



100 რუსული რუბლი — 4.0493

**ამინდის პროგნოზი 25 აგვისტოსთვის**





## 1 აგვისტოდან




ქართული დეტექტივი
მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## თაკო ნაცვლიშვილი ვიქტორია სეკრეტის შოუზე არ გამოვა



18 წლის მოდელი თაკო ნაცვლიშვილი ვიქტორია სეკრეტის შოუზე არ გამოვა. უარი მას შოუს ორგანიზატორებმა ფინალურ ტურში უთხრეს.

ინფორმაცია ამის შესახებ თაკომ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– მადლობა ყველას გულშემატკივრობისთვის, გვერდში დგომისთვის, მინდა იცოდეთ, რომ მართლა ძალიან ვაფასებ.

სამწუხაროდ, წელს უარყოფითი პასუხი მივიღე, თუმცა, ამასთან ერთად – დიდი გამოცდილებაც. წლევანდელი წარუმატებლობა არ ნიშნავს, რომ შემდეგ წელს დავნებდები, პირიქით, მეტი შემართებით გავალ და ამ წელს მაქსიმალურად გამოვიყენებ მოსამზადებლად.

ვიქტორია სეკრეტის 2017 წლის შოუ შემოდგომაზე აზიაში გაიმართება. შოუს ორგანიზატორებმა წელს თითქმის ყველა ცნობილ მოდელს უარი უთხრეს და პოდიუმზე გასაყვანად ახალბედა მოდელები შეარჩიეს. მათი რაოდენობა კი საკმაოდ ბევრია – ვიქტორია სეკრეტის შოუს ხელმძღვანელობამ ნიუ იორკში გამართულ შესარჩევ კონკურსში თანხმობა 60 მოდელს განუცხადა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი



სასამართლო სხდომაზე მოსამართლე მოწმეს მიმართავს:

– თქვენ კარგად იცნობდით განსასჯელს?

– დიახ. ჩვენ ერთად ვმუშაობდით ბანკში.

– ეს როდის იყო?

– ორი თვის წინ. დაახლოებით დილის ოთხ საათზე.

•••

დიდი ჩხუბის შემდეგ ქმარი ცოლს ეუბნება:

– მოდი, შევრიგდეთ.

– არა.

– მაშინ მოდი, დროებით შევრიგდეთ, ხოლო სექსის შემდეგ ისევ ვიჩხუბოთ.

– კარგი, თანახმა ვარ!

•••

შვილი დედას ეუბნება:

– დედა, ხვალე სკოლაში მშობლების კრებაა და მოხვალ?

– არა, შვილო, ჯობია, მაგ ფულით დასასვენებლად წავიდეთ.

•••

ბავშვი ოპერის მომღერლის გამოსვლას უყურებს და მერე დედას ეუბნება:

– საბავშვო ბაღში, როდესაც ასე ვღრიალებთ, მასწავლებლები გვეჩხუბებიან...

•••

უსიერ ტყეში მეგზური და მონადირე ბარდებში გზას იკვალავენ, მეგზური გრძელტარიანი ნაჯახით ბარდებს კაფავს. ამ დროს წინ უზარმაზარი დათვი გამოჩნდება. მეგზური ადგილზე გაშეშდება. ადგილზე გაქვავდება დათვიც. მეგზური ზურგს უკან მყოფ მონადირეს ჩურჩულით ეუბნება:

– მოდი აქ...

ზურგს უკან სიჩუმეა.

– მოდი აქ!

ისევ სიჩუმეა. მეგზურმა მესამედ დაიჩურჩულა:

– მოდი აქ, შე შობელძაღლო!

ამ დროს უკნიდან მონადირის ჩურჩულით ნათქვამი შემოესმა:

– რა ჯანდაბად უხმობ, შე შობელძაღლო, შენა?

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– ვინ არის შენი მკურნალი ექიმი?

– დრო.

– და შენი?

– ფული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## სერია „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო – 100 წიგნი“ გრძელდება

**10 აგვისტოდან ტომი 50 პინოჩეტი**




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

**17 აგვისტოდან ტომი 51 იულიუს კეისარი**




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

**24 აგვისტოდან ტომი 52 ლინკოლნი**




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




## 22 აგვისტოდან

ლაშა იმედაშვილი

ქართული დეტექტივი ტომი 13

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ზლატანმა მანჩესტერ იუნაიტედთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი



ზლატან იბრაჰიმოვიჩი კარიერას მანჩესტერ იუნაიტედში გააგრძელებს. ეს ინფორმაცია თვითონ ზლატანმა დაადასტურა.

იბრა მანჩესტერთან ახალ, ერთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

მანჩესტერელების მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ ზლატანი მის გუნდს კიდევ ბევრ სარგებლობას მოუტანს მომავალში და მისი დარჩენა გუნდზე კარგად იმოქმედებს.

ამჟამად იბრაჰიმოვიჩი ტრავმირებულია და ის, სავარაუდოდ, დეკემბერში დაბრუნდება მინდორზე, მანამდე კი ზლატანს ტრიბუნიდან მოუწევს თავისი გუნდის თამაშებისთვის ცქერა.

## რაფინია შესაძლოა მილანში გადავიდეს



ბარსელონის ბრაზილიელი ნახევარმცველი რაფინია შესაძლოა მილანში აღმოჩნდეს. ბარსელონას რაფინიას გაყიდვა სურს და მისი შეძენით რამდენიმე ინგლისური კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ თვითონ რაფინიას მილანში თამაში ურჩევნია.

ამის შესახებ ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა.

მილანს ჯერჯერობით ოფიციალური წინადადება არ გაუკეთებია ბარსელონასთვის, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს მალე მოხდება. მილანისთვის ეს სატრანსფერო ზაფხული ძალიან აქტიური გამოდგა, რადგან კლუბმა ბევრი ახალი ფეხბურთელი შეიძინა.

## ბორუსია დემბელეში 140 მილიონ ევროს ითხოვს

დორტმუნდის ბორუსია უსმან დემბელეს ტრანსფერში 140 მილიონ ევროს ითხოვს და დაკლებას არ აპირებს. სწორედ სატრანსფერო ფასია ის დაბრკოლება, რის გამოც დემბელე ჯერჯერობით ვერ ახერხებს ბარსელონაში გადასვლას, თუმცა ამ ტრანსფერის განსახორციელებელი დრო ჯერ კიდევ არსებობს.



თვითონ დემბელეს ძალიან სურს ბარსელონაში თამაში და ამის გამო მან ბორუსიის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაც გაიფუჭა.

დემბელე ამჟამად საფრანგეთში იმყოფება და ელოდება მოვლენების განვითარებას. როგორც ცნობილია, ის გერმანიაში დაბრუნებას არ აპირებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ბალეტ „დონ კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 2. აბანოს თანამშრომელი; 3. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 4. პლანეტის თანამგზავრი; 7. ცნობილი ფინელი კომპოზიტორი; 8. წყალში გახსნილი სახატავი საღებავი; 12. პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ კინორეჟისორი; 14. ენისა და ლიტერატურის მკვლევარი მეცნიერი; 16. ქანების სანგრევი, ორი წვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 17. მდინარის ძვირფასი სარეწაო თევზი; 19. ცხენების ჯოგი; 20. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი სული.

**თარაზულად**: 5. აფრიკის სახელმწიფოს სამხრეთ როდეზიის დღევანდელი სახელწოდება; 6. წყლის საათი; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 10. ღვინის ვაჭარი ძველად; 11. პურეული მცენარე; 13. წყლის საქაჩი მექანიზმი; 15. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 12. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 21. ქალ-ვაჟის შეუღლება კანონიერი გაფორმებით; 22. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა; 23. ძველი ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

